პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 279 სამშაბათი, 5 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 279

დღიური

— ლოზანის კონფერენციაზე სრუტეების საკითხის გარჩევა დაიწყო 4 დეკემბერს.

— 1 დეკემბერს შესდგა განიარაღების კონფერენციის დელეგაციების თავმჯდომარეთა სხდომა.

— მოსკოვში დაიწყო მუშა კორესპონდენტ სპირიდონოვის მკვლელობის ხელმეორედ გარჩევა.

— რვა დეკემბერს ლაიპციგში გაიხსნება გერმანიის კომუნისტური პარტიის პარტეიტაგი.

— კომინტერნში: ტროცკის სიტყვა.

პროვინციელ ხელის მომწერთა
საყურადღებოდ

დაბეჯითებით ვსთხოვთ ყველა ხელის მომწერლებს, რომლებიც თავის დროზე ვერ იღებენ გამოწერილ გაზეთებს, აცნობონ ამის შესახებ თვითეულ შემთხვევაში ან გამოწერილ გაზეთის რედაქციას, ან კანტორას (რუსთველის პროსპექტი № 24) მიუღებელ გაზეთების №№-ის აღნიშვნით

გაზეთები იგზავნება მხოლოდ ფასით, რომელიც უნდა შეტანილ იქნეს გაზეთის ცენტრალურ კანტორაში (რუსთველის პრ. № 24) ნისიათ გაზეთი არ გაიგზავნება

0—2

ჩვენი სასოფლო მეურნეობა

ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და მაშასადამე მთავარი ყურადღებაც ჩვენი მეურნეობის სწორეთ ამ დარგს უნდა ქონდეს მიქცეული. და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა ეს ისა, რომ ეს სასოფლო მეურნეობა პრიმიტიულია და არა თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკის ნიადაგზე მოწყობილი ერთი სიტყვით ის ვერაა თანამედროვე რაციონალურ ნიადაგზე დაყენებული

საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც დასცა და არივდარია ყველა ქვეყნების ეკონომიური ცხოვრება, როგორც საქალაქო, ისე სასოფლოც, დიდი დაღი დაჩინა ჩვენი ქვეყნის მეურნეობასაც.

იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ჩვენში იყო ნიშნები და საფუძველიც ჩადგმული ექსტენსიურ (ძველ ჩამორჩენილ) მეურნეობიდან, ინტენსიურ მეურნეობისკენ გადასვლის, მისი რაციონალურ, კულტურულ ნიადაგზე დაყენების. ფართო განვითარების პერსპექტივებს იძლეოდა თამბაქოს მოშენების საქმე, მევენახეობა, მეღვინეობა, ხეხილის მოშენება და სხ., რომლებისთვისაც აქაური ნიადაგი და ჰავა საუცხოვო პირობებს ქმნის ფართო განვითარებისათვის.

მაგრამ როგორც ვთქვით იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების წყალობით ამ სასოფლო მეურნეობის არა თუ შემდეგი განვითარება და გაუმჯობესობა, არამედ არსებულ დონემდე შეჩერებაც შეუძლო გახდა. დაწყდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობის ის ძაფები, რომლებიც აკავშირებდა ერთი მეორეზე სხვადასხვა ქვეყნებს.

სამოქალაქო ომმა რუსეთში და განსაკუთრებით საქართველოს მენშევიკების გამცემლურმა პოლიტიკამ მთელი სამი წლის განგანმავლობაში, როდესაც საქართველო სულიერთიანათ მოწყვეტილი იყო, როგორც პოლიტიკურათ ისე ეკონომიურათაც მის ბუნებრივ მოკავშირეებს და მეზობლებს: აზერბეიჯანს, უკრაინას, რუსეთს, კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ჩვენი ინტენსიური სასოფლო მეურნეობის დაცემას და დაქვეითებას.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ რუსეთიდან მოწყვეტამდე ვსაზრდოობდით რუსეთის პურით და თუ როგორ მჭიდროთ ვიყავით გადახლართული ამითაც რუსეთთან. ამ უკანასკნელიდან ჩამოშორებამ კი მოგვცა ის, რომ ამიერიდან ჩვენ უნდა გადავსულიყავით ჩვენი თავის გამოკვებაზე ჩვენივე სურსათით.

როგორ შეიძლებოდა ამის მიღწევა? რა ხასიათი უნდა მისცემოდა ამის გამო ჩვენს სასოფლო მეურნეობას? ცხადია, ამის შემდეგ ფიქრიც კი ზედმეტი იქნებოდა მისი კულტურულ ნიადაგზე დაყენების შესახებ იმ მხრივ, რომ პურეულობის მოშენების მაგივრათ, რომლის მოყვანა სხვა კულტურულ მცენარეულობასთან შედარებით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხელსაყრელად და მთავარ საქმეთ ჩვენს მეურნეობაში მის რაციონალურათ დაყენების თვალსაზრისით, მოგვეშენებია მაღალი კულტურ. მცენარეულობა, რომლისთვისაც, როგორც ზემოთ ვთქვით, საუცხოვო ბუნებრივი პირობებია ჩვენში. ჩვენ უფრო მეტად და ფართოდ უნდა მიგვეყო ხელი სწორეთ ამ ხორბლეულობის მოშენებისათვის, რათა უზრუნველგვეყო ჩვენი თავი სურსათით.

ამას კი შედეგათ მოყვა ის, რომ გაგვიჩნდა სიმინდის კულტურის მანია. ხელი მიჰყვეს სიმინდის თესვას ყველგან. ზურგი შეაქციეს თამბაქოს მოყვანას, დაფნის მოშენებას და სხვ., რომლებიც უფრო მეტ სიმდიდრეს აძლევდა ჩვენს ქვეყანას, და ის მიწები, რომლებიც მიჩნეული იყო ამ კულტურული მცენარეულობისათვის, გადააქციეს საყანე მინდვრებათ. წარმოიდგინეთ საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ გლეხები ზოგ ადგილას სპობდენ ვენახებს და ანთავისუფლებდენ მიწებს სიმინდის რაც შეიძლება მეტად დათესვისათვის. რასაკვირველია გლეხი ამ შემთხვევაში გამოდიოდა თავისი ვიწრო პრაქტიკული მოსაზრებებიდან. გლეხი მსჯელობდა: საშინელი გაჭირვებაა, შიმშილობაა, პური ან სიმინდი არსაიდან მოგვივა, ყიდვაც ამიტომ არ შეიძლება, უნდა დავაწვეთ ძალიან სიმინდის მოყვანას; ულვინოთ ან უყურძნოთ გაძლება შეიძლება, უსიმინდოთ და უფქვილოთ იკარა, ამიტომ თავს მივანებებ ვენახს და მის ადგილას დავთესავ სიმინდსო. მენშევიკურ მთავრობასაც არაფერის თქმა არ შეეძლო, ვინაიდან მთავარი დამნაშავე ამაში ისიც იყო. განა შეუძლია თქვას რომელიმე ჭკუათ მყოფელმა, რომ საქართველოს განმარტოვებულათ ყოფნა და განსაკუთრებით კი რუსეთისაგან შეეძლო ან შეუძლია?

სულ სხვაა დღეს, როდესაც ჩვენშიაც, როგორც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებაა. დღეს ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანაა: ქვეყნის ეკონომიურათ აღდგენა და წინწაწევა. და ვინაიდან ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ მიწად-მოქმედების ქვეყანაა, მთავარი ყურადღებაც სწორეთ სასოფლო მეურნეობას უნდა მიექცეს. ეს კი უმთავრესათ და უპირველეს ყოვლისა ჩვენი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საქმეა.

ჩვენი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი დღეს სასოფლო მეურნეობის ექსტენსიურ მეურნეობიდან ინტენსიურ მეურნეობისაკენ, დაბალი კულტურის მცენარეულობის მოშენებიდან მაღალ კულტურის მცენარეულობის მოშენებისაკენ გადასვლაა.

ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მოშენებული და რაც შეიძლება ფართო ნიადაგზე, იქნეს დაყენებული მევენახეობა, მებამბეობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თამბაქოსა და დაფნის და სხვა ასეთი კულტურული მცენარეების გაშენება, რომლებიც ვალიუტის როლს თამაშობენ.

თუ ამას შევსძლებთ, ამ მთავარ ამოცანას სისრულეში მოვიყვანთ, ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლისა და განვითარების საქმე მტკიცე საფუძველზე იქნება.

წითელ კომანდირთა პირველი გამოშვება

ქართული სამხედრო სკოლა დღეს შვებს ქართული ჯარის წითელ ელმძღვანელთა, კომანდირთა პირველ ყებას. წელიწად ნახევრის მომზადების შემდეგ ჯერ კიდევ ნორჩი ჯარი საბჭოთა საქართველოს იღებს ცოტათ თუ ბევრათ გაწვრთნილ და მომზადებულ კომანდირებს. წითელი ჯარისათვის ხელმძღვანელთა ასეთ კადრს უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ფაქტია, რომ ქართული წითელი ჯარი მომზადებით ბევრათ დაბლა დგას, ვიდრე საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარი, რომელიც, წარმოიშვა რა სამოქალაქო ომის პერიოდში, ხუთი წლის განმავლობაში ყოველმხრივ განვითარდა და შეიქნა მუშურ გლეხური შეიარაღებული სამაგალითო ძალა. წითელი არმია მსოფლიოში არსებულ ჯარისაგან განსხვავდება, როგორც თავისი კონსტრუქციით, აგრეთვე მიზნებით და მისწრაფებებით. სამოქალაქო ომის განმავლობაში წითელი არმია მედგრათ იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარ მტერთაგან და ამართლებდა თავის დანიშნულებას, როგორც მშრომელთა შეიარაღებულ არმიისას. მხოლოდ რესპუბლიკის ეკონომიურ აღმშენებლობის სფეროში, იგივე არმია გამოვიდა, როგორც უდიდესი დამხმარე დანგრეულ მეურნეობის აღსადგენათ.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ წითელი ჯარის ნაწილებს როგორც ქალაქში ისე სოფლად არ დაემტკიცებიოს მუშებისათვის და გლეხებისთვის, რომ მას შეუძლია არა მარტო სამხედრო იარაღის ხმარება მოწინააღმდეგეთა შესამუსრათ,—არამედ არა ნაკლებ შეუძლია სამეურნეო იარაღების გამოყენება იმ მძიმე შრომის შესამსუბუქებლათ, რომელსაც იწევიან საბჭოთა ფედერაციის მშრომელნი თავიანთ ხელისუფლებას მტკიცე ეკონომიურ ბაზის შესაქმნელათ. ეს თვისებები ნაწილობრივ ახასიათებს ქართულ წითელ ჯარსაც. აუცილებელია მისი ამ მხრივ კიდევ დაწინაურება, თუ ის იქნეს გამსჭვალული რუსეთის ჯარის ყველა სახელოვანი ტრადიციებით. ეს მოვალეობა ეკისრება ამ ხელმძღვანელებს, უკეთ მასწავლებლებს, რომელსაც დღეს აძლევს ქართველ კურსანტთა შეერთებული სამხედრო სკოლა ქართულ წითელ არმიას. მათ მოუხდებათ წითელი ჯარის ხელმძღვანელობა ე. წ. მშვიდობიან პერიოდში. ამიტომ ჩვენს წითელ კომანდირებს შეხვდება ორგვარი მუშაობის წარმოება. წითელი ჯარის გამაგრება, როგორც შეურყეველი სამხედრო ძალის და მეორე მხრივ ფართე აღმზრდელობითი მუშაობა და გაღვივება იმ გრძნობის, რომ წითელი არმია განუწყვეტელ კავშირში უნდა იყოს მუშებთან და გლეხებთან მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. წითელი არმიელი უნდა იქნეს როგორც საუკეთესო მეომარი, აგრეთვე მისაბაძი მეურნე, აგიტატორი და კომუნისტური იდეების გამავრცელებელი.

გვწამს, რომ წითელი კომანდირები ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას შეასრულებენ და შექმნიან ქართული წითელი ჯარის საუკეთესო ორგანიზაციას.

სალამი წითელ მეთაურებს!
გამარჯვება წითელ ჯარს!

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის პირველი კონფერენცია

დღეს გაიხსნება საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი კონფერენცია. რისთვის იქნა მოწვეული ის და რა მნიშვნელობა აქვს მას ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობისთვის?

ექვსი თვე გავიდა ა. კ. კ. მე-2 ყრილობის შემდეგ და განვლილი დრო საკმაოა, რათა მოწვეულიყო კომუნისტური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოვებული თათბირი, რომელიც გამოიმუშავებს მომავალ მესამე ყრილობამდის მუშაობის გეგმას. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული კითხვები მოითხოვენ უფროს ამხანაგების, კომუნისტური პარტიისაგან სერიოზულ ყურადღებას და კონკრეტიულ ღონისძიებათა გამომუშავებაში მხურვალე მონაწილეობის მიღებას. რომ ასეთი მონაწილეობა აუცილებელია და რომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ეს დაამტკიცა რ. ა. კ. პ. მე 5 თე ყრილობამ, რომლის მუშაობაში მთელ რიგ მეტათ პასუხისმგებელ ამხანაგების მხურვალე მონაწილეობამ აწია ამ ყრილობის მნიშვნელობა და ერთნაირი გარდატეხის ხანა დაიწყო კომკავშირის ისტორიაში.

ჩვენს კონფერენციას უხდება საქართველოს სინამდვილისთვის სწორეთ იმ დადგენილებათა შეფარდება, რომლებიც იქნა გამომუშავებული მე 5 თე ყრილობაზე.

რა იყო რ. ა. კ. კ. უკანასკნელ ყრილობაზე უპირველესი ამოცანა?— ეს იყო გამორკვევა იმ შედეგის, რომელიც მიღწეულია მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

რა შეგვიძლია ჩვენ ამის შესახებ ვსთქვათ კონფერენციაზე?

— ბევრი რამ. სახელდობრ ის, რომ განვლილ ექვსი თვის დაუღალავი მუშაობით საკმაო შედეგებია მიღწეული საქართველოს ისედაც მცირე რიცხოვან მუშათა ახალგაზრდობის დასახსნელათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამხრწნელ გავლენისაგან. ამას მოწმობს—მუშათა ახალგაზრდობის უმუშევართა რიცხვის შემცირება, მისი სამუშაო დროის მტკიცეთ განსაზღვრა 4—6 საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში გატარებით, ხელფასის გადიდებით, სხვა და სხვა ტიპის სკოლების, საქარხნო საფაბრიკო, მუშათა ფაკულტეტების დაარსებით. მეორე კარდინალური კითხვა მეხუთე ყრილობაზე იყო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. ეს კითხვა იმდენად გაშუქდა ყრილობაზე, რომ ის ძვირფას მასალათ გამოგვადგება ჩვენი კონფერენციისათვისაც. კონფერენცია შეისისხლხორცებს ამხ. ბუხარინის დებულებას რომ ბურჟუაზიის იდეოლოგიურ ფრონტზე შემოტევას დასამარცხებლათ პროლეტარული იდეოლოგიის გამაგრებაა საჭირო. ამიტომ ახალგაზრდობისთვის ფრიად საჭირბოროტო კითხვებია ღრმა მარქსისტული ცოდნის შეძენა, რევოლიუციონური ყოფაქცევის ნორმების გამომუშავება და სხვა. ტროცკის ლოზუნგი, რომ „ახალგაზრდობამ უნდა დაღრღნას ახალგაზრდათა კბილებით მეცნიერების გრანიტი, გამოიბრძმედოს ბრძოლაში და ემზადოს დაქანცულთა ადგილის დასაკავებლათ“, ეს ლოზუნგი კავშირის აქტიურმა მომუშავეებმა კონფერენციაზე სამოქმედო პროგრამის ფორმაში უნდა ჩამოაყალიბონ და ყოველდღიურ მუშაობაში სახელმძღვანელო მცნებათ მიიჩნიონ.

იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მხარეზე იქნება ამ ფრონტზე მებრძოლი ძალა,—ინტელიგენცია, და ვინ დაიპყრობს მოსწავლე თაობის და საერთოდ ახალგაზრდის გონებას, ვინ შესძლებს მის თავიდანვე აღზრდას, ვინ დაისაკუთრებს ამ აღზრდისთვის საჭირო საშუალებებს: ლიტერატურას, სკოლას, კინოს და სხვას. ნატ-პინკერტონების თუ წითელ რაინდთა ლიტერატურა, სკოლის, ბურჟუაზიულ თუ პროლეტარულ ტრადიციებისთვის ჩამორჩილება ბურჟუაზიული გამრყვნელი თუ პროლეტარიატის ზნეობრივ სიფაქიზის, მშრომელთა ხელისუფლებისადმი ერთგულების და მის დასაცავათ სახელოვან ბრძოლის მქადაგებელი იქნება კინო და სხვა—აი უმთავრესი მომენტები ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდის სფეროში. ამიტომ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს კონფერენციაზე ახალგაზრდობის კომუნისტურათ აღზრდის და სკოლებში მოწაფეთა შორის მუშაობის საკითხებს.

აშკარაა, რომ მთელი ამ მუშაობის ჩასატარებლათ უნდა იყოს მომზადებული და განვითარებული თვით ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, როგორც უმთავრესი როლის მოთამაშე ზემოხსენებულ ამოცანების შესასრულებლათ. ამიტომ კავშირის პოლიტიკურ-განმანათლებელ ამოცანებს შესაფერისი ადგილი უკავია კონფერენციის მუშაობაში. მოკლეთ,—დიდათ მნიშვნელოვანია ამოცანები, კონფერენციის დღის წესრიგში დასმული და აქედან საქმიანი იქნება თვით კონფერენციაც.

დ. ფ.

ტელეგრამები

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი. 4 დეკ. 1 დეკემბერს ლიტვინოვის თავმჯდომარეობით შესდგა განიარაღების კონფერენციაზე ჩამოსულ ყველა დელეგაციების თავმჯდომარეთა სხდომა. შემუშავებულია კონფერენციის სხდომების რეგლამენტი. პირველ სხდომაზე მოხდება პრეზიდიუმის და სათანადო კომისიების არჩევნები, საპროგრამო განცხადებების გაცვლა გამოცვლა.

მოსკოვი. 4 დეკ. მოსკოვის კონფერენცია შეიარაღების შემცირების შესახებ გაიხსნა 2 დეკემბერს დილით 12 საათზე. კონფერენცია გახსნა ამხ. ლიტვინოვმა.

ლოზანის კონფერენცია

ამხ. ჩიჩერინის შეხვედრა კუნოსთან.

მოსკოვი 4 დეკემბერი. 30 ნოემბერს ბერლინში გარეშე საქმეთა სამინისტროში მოხდა ჩიჩერინის შეხვედრა კუნოსთან და გარეშე საქმეთა მინისტრ როზენბერგთან.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი 4 დეკემბერი. ბერლინში ყოფნის დროს, ამხ. ჩიჩერინმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი აზრით ლოზანას კონფერენციაზე ოსმალეთმა უნდა მიიღოს სრული ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

— განიარაღების კონფერენციის შესახებ, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთი განიარაღების საკითხების გადაწყვეტას ფიქრობს რუსეთსა და მის მეზობლებს შორის ნეიტრალურ ზონის დაწესების გზით.

ჩიჩერინის განცხადების გამო.

მოსკოვი. 4 დეკ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ჩიჩერინის განცხადებამ ლოზანაში რუსეთის დელეგაციის პროგრამის შესახებ ძლიერი შთაბეჭდილება შექმნა ბერლინში. „ტაგე“ სწერს: „საჭიროა დიდი შედეგათ რუსეთის საქმეში, რომ იგრძნოთ საქმიანი დიპლომატიის [illegible] რუსეთმა შესძლო აღდგენა საერთაშორისო ურთიერთობაში თავისი ყოფილი პრესტიჟის.

ოსმალეთის დელეგატები.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. ისმეთ ფაშამ და რიზა-ნური ბეიმ ინახულეს რაკოვსკი.

ოსმალეთის ვალების შესახებ.

მოსკოვი. 4 დეკემბ. კონფერენციამ განიხილა საკითხი ოსმალეთის ვალების შესახებ. ყველა სხვა საკითხები გადადებულ იქნა.

გაიმართა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის სამხედრო ექსპერტების კერძო თათბირი სრუტეების საკითხის შესახებ.

კონსტანტინოპოლის ოსმალური წრეები უკმაყოფილონი არიან კონფერენცით.

ოსმალეთის გაზეთები საფრანგეთის პოზიციის შესახებ სწერენ: „ჩვენთან მეგობრულ განწყობილებაში მყოფმა სახელმწიფოებმაც კი დაივიწყეს თავიანთი დაპირებები. მთელი ევროპა გაერთიანდა ჩვენს წინაამდეგ“.

ოსმალეთის თვალსაზრისი

მოსკოვი. 4 დეკემბ. ანგორის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ნაციონალურ კრებაზე თქმულ სიტყვაში მოითხოვდა ეროვნულ ხელშეკრულების სრულ განხორციელების აუცილებლობას და პლებისციტის მოხდენას დასავლეთ ფრაკიაში.

ინგლისი და რუმინია

მოსკოვი. 4 დეკემბ. „ნიუ-იორკ-გერალდი“ იუწყება, რომ ინგლისს განზრახვა აქვს თავის საზღვაო ბაზად გაიხადოს რუმინია, რის გამო ცდილობს შეუთანხმდეს რუმინიას, რუმინიის ნავთსადგურებში ინგლისის ფლოტისათვის სადგურების მოწყობის შესახებ. ლოზანას საზღვაო საქმეების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამით იწყება ინგლისის საზღვაო პოლიტიკის ახალი ხანა.

რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკა კონფერენციაზე.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. „ტანი“ იუწყება, რომ ლოზანაში შესაძლებელია იმ წრეების წარმომადგენლების ჩამოსვლა, რომელნიც მუსულმანთა შორის ეწევიან ანტი-რუსულ პროპაგანდას. ინგლისი დაინტერესებულია ანტი-რუსული პოლიტიკის გამარჯვებით, რაც შესაძლებლად ხდის მისთვის ახალ ინტერვენციას კავკასიის ნავთის ხელში ჩაგდების მიზნით. „ტანი“ აღნიშნავს, რომ ინტერვენციის პოლიტიკის განახლების ცდა გააძლიერებს რუსეთის, ხალხის ნაციონალიზმს და სავალალოდ დამთავრდება ინგლისისათვის. აგრეთვე ინტერვენციის პოლიტიკა იქონიებს ცუდ გავლენას ვალების და რუსეთში საფრანგეთის ყოფილ საკუთრების საკითხების გადაწყვეტაზე.

ოსმალების პოზიცია.

მოსკოვი. 4 დეკემბ. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის პოზიცია კაპიტულიაციის და დასავლეთ ფრაკიის საკითხებში იქნება მტკიცე და უცვლელი. ოსმალოები აგრეთვე არავითარ დათმობაზე არ წავლენ სრუტეების საკითხში.

საკითხი სრუტეების შესახებ.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. „ეკო დე პარი“ იტყობინება, რომ დაიწყო ნახევრათ ოფიციალური მოლაპარაკება სრუტეების საკითხის შესახებ. მოკავშირეებს განზრახული აქვთ დააწესონ მთელი რიგი ნეიტრალურ ზონებისა დარდანელის, მარმარილოს ზღვის და მდინარე მარიცის გარშემო. დემილიტარიზაცია ქმნილ ზონებში განზრახულია შეუყვანონ მოკავშირეების გარნიზონები. „ძლიერ მნიშვნელოვანია სწერს გაზეთი, მოკავშირეების საზღვაო ჰეგემონიის განმტკიცება სრუტეებში და შავ ზღვა ში“.

რუსეთი და ლოზანას კონფერენცია.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. კერზონს თათბირი ჰქონდა საფრანგეთის და იტალიის დელეგატებთან რუსეთის დელეგაციის მოთხოვნილებაზე საპასუხო ნოტის საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება რუსეთის დაშვებას ლოზანას კონფერენციის მუშაობაში სრული მონაწილეობის მისაღებად. ზოგი ცნობების მიხედვით, მოსალოდნელია უარი, ზოგისაგან ფრანგებმა ინსტრუქციები მოითხოვეს პუანკარესაგან. იტალიელები ენერგიული მომხრენი არიან [illegible] პასუხის.

ვენიზელოსის განცხადება.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. ლოზანადან მიღებულ ცნობებით, ვენიზელოსმა აღიარა, რომ საბერძნეთის არმია არბევდა და სწვავდა. ამ განცხადებამ სავსებით დააკმაყოფილა ისმეტ-ფაშა.

საკითხი სრუტეების შესახებ.

მოსკოვი. 4 დეკ. რუსეთის დელეგაციამ მიმართა ლოზანას კონფერენციის სეკრეტარიატს ოფიციალური წინადადებით სრუტეების კომისიის პირველი სხდომის 4 დეკემბერს გამართვის შესახებ, რათა რუსეთის დელეგაციამ შესძლოს მასში მონაწილეობის მიღება სრულის შემადგენლობით. წინადადება მიღებულ იქნა.

რუსეთი და სამხრეთ სლავია.

მოსკოვი. 4 დეკ. რუსეთის დელეგაციამ თათბირი გამართა ნინჩიჩთან რუსეთსა და სამხრეთ სლავიას შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში

რუსეთის და ოსმალეთის ერთიანი ფრონტი.

[illegible]. 3 დეკემბერი. „ნიუ-იორკ გერალდის“ ცნობით ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ რუსეთის დელეგაცია, თუ მას არ მისცემენ ლოზანას კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლებას, მთელის შემადგენლობით დასტოვებს კონფერენციას. ფიქრობენ რომ ამ შემთხვევაში ოსმალებიც დაუყონებლივ მიბაძვენ რუსეთის მაგალითს.

ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში.

[illegible]. 3 დეკემბ. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ თავისი შემადგენლობის დიდი უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა მინისტრთა საბჭოს.

ჩიჩერინი და ისმეტ ფაშა.

[illegible]. 3 დეკემბერი. შაბათს ჩიჩერინი და მთელი რუსეთის დელეგაცია ისმეტ-ფაშასთან იყო საუზმეზე, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ოსმალეთის დელეგაცია სრული შემადგენლობით.

გერმანიის ამბები

სარეპარაციო საკითხი.

მოსკოვი, 4 დეკ. გერმანიის პრესა აღშფოთებულია საფრანგეთის ახალი მუქარით სარეპარაციო საკითხების შესახებ.

— „ფოსიშე ცეიტუნგი“ ხაზს უსვამს, რომ ანტანტის ერთიანი ფრონტი სარეპარაციო საკითხებში უკვე მომხდარი ფაქტია.

გერმანიის მუშების შორის.

მოსკოვი. 4 დეკემბ. ბადენის საღებავის ფაბრიკის დირექციამ ლიუდვიგსჰაფენში დაითხოვა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესის ყველა მუშა-დელეგატები. მუშების გაფიცვის საპასუხოდ დირექციამ გამოაცხადა ლოკაუტი და დაითხოვა 30.000 მუშა.

კომუნისტები გერმანიაში.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. 8 დეკემბერს ლეიპციგში გაიხსნება გერმანიის კომუნისტურ პარტიის პარტეიტაგი.

— ნოსკეს განკარგულებით ხელახლა დაკეტილია სამი კვირის ვადით კომუნისტური გაზეთი ქვედა საქსონიაში კუნოს მთავრობის შეურაცყოფისათვის.

ბრიუსელის კონფერენციის გამო

წინასწარი კონფერენცია.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. ლონდონში გაიმართება მოკავშირეთა პრემიერების წინასწარი კონფერენცია. კონფერენცია განიხილავს საკითხებს მორატორიუმის, გერმანიის ვალდებულებათა და გერმანიის წინააღმდეგ იძულებითი ზომების შესახებ.

მოკავშირეთა ტეხნიკური კომისია იმუშავებს რეინის მარცხენა ნაპირის ექსპლოატაციის გეგმას.

შორეულ აღმოსავლეთში

მოსკოვი 4 დეკემბერი. ტოკიოში გაიხსნა აზიის ხალხთა თანამშრომლობის საზოგადოებათა კონფერენცია. იაპონელების გარდა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ ჩინეთის, ინდოეთის ფილიპინის კუნძულების და სპარსეთის დელეგატები.

სახალინის ევაკუაციის გამო.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. ვლადივოსტოკის საბჭომ მიმართა იაპონიის პროლეტარიატს მოწოდებით, რათა მან მოითხოვოს სახალინის დაუყონებლივი ევაკუაცია.

სხვადასხვა ამბები

იტალია

ფაშისტების მოქმედება.

მოსკოვი 4 დეკემბერი. ტურინში ფაშისტები თავს დაესხნენ სახალხო სახლს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ მუშების მიერ. შეტაკების დროს მოკლულია კომუნისტი დონგი.

კომუნისტები ტურინში.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. ტურინში მოხდა კომუნისტური დამკვრელ რაზმების კრება. კრებას დაესწრო ათას კაცზე მეტი.

ფაშისტები.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. მილანიდან იუწყებიან, რომ ფაშისტებმა ვერ შესძლეს პროლეტარულ ორგანიზაციების საბოლოო განადგურება. წითელ პროფკავშირების ბეჭვდითი ორგანო ათასობით ვრცელდება მუშათა რაიონებში.

ინგლისი

თემთა პალატაში.

მოსკოვი. 2 დეკემბერი. ინგლისის თემთა პალატაში კამათის დროს ჯარის კაცთა და ომის ინვალიდებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ, მუშათა პარტიის წევრმა ჯონსმა მინისტრებს „წუწკი ძაღლები“ უწოდა, რისთვისაც ის გაძევებულ იქნა სხდომიდან.

საფრანგეთი

საფრანგეთი და რუსეთი.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. ლიონის ბაზრობის კომიტეტის კრებას ერიომ აცნობა სკობელევის ჩასვლა. ერიომ განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია საფრანგეთის და რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის მოსალოდნელ განახლებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

ამხ. რიკოვი, ძერჟინსკი და ორჯონიკიძე სენაკის მაზრაში

26 ნოემბერს სოხუმიდან ქ. სენაკს ეწვიენ ძვირფასი სტუმრები: ამხ. რიკოვი, ძერჟინსკი, ს. ორჯონიკიძე და ვ. [illegible]. ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ და ხელისუფლების ორგანომ სტუმრებს გაუმართა საზეიმო შეხვედრა. საღამოს ქ. ბალში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი, ქალი და მოსწავლე ახალგაზრდობა. სამეგრელოს მშრომელი მასის სახელით ამხ. ს. მამულია სტუმრებს მხურვალეთ მიესალმა, რასაც დამსწრე საზოგადოება შეხვდა ოვაციით. მიტინგზე ილაპარაკეს ამხ. რიკოვმა, ძეოჯინსკიმ და ორჯონიკიძემ, რომელთაც მიტინგი შეხვდა მხურვალე ტაშით.

მიტინგზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ორჯონიკიძესი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ახალსენაკის მრავალრიცხოვანი მიტინგი აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშურ-გლეხური ხელისუფლების შინაური და გარეშე მტრები განადგურებულია. საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასა ამ ჟამად გაათკეცებული ენერგიით აწარმოებს წარმატებითი ბრძოლას ეკონომიურ ფრონტზე, მიუხედავად მსოფლიო ბურჟუაზიისა და მისი შინაური აგენტების გაიძვერობისა და ღალატისა. ამასთან მიტინგი სავსებით იწონებს საბჭოთა დიპლომატიის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ახლო-აღმოსავლეთის საკითხში და წყევა კრულვით იხსენიებს საქართველოდან გაქცეულ მენშევიკებს, რომელნიც ცდილობენ ევროპის იმპერიალისტების ჯარების საშუალებით დაიბრუნონ დაკარგული ხელისუფლება და ამით კვლავ დაადგან ქართველ მშრომელთ მონობის მძიმე უღელი. შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუციის მოსაგერიებლად და საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურად ასაყვავებლად აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განგანმტკიცება. ჩვენ ერთად-ერთ ფორმად საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მიგვაჩნია კავშირი საბჭოთა რესპუბლიკის და ამ კავშირში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესვლა მთლიანი ოჯახით ფედერაციის სახით. მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის ძვირფას სტუმრებს.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მე-3-ე კომ. ინტერნაციონალს!

მიტინგის თავმჯდომარე ხ. მ—ლია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მუშა-კორესპონდენტ სპირიდონოვის მოკვლის გარშემო.

მოსკოვი. 2 დეკემბერი. დაიწყო მუშა-კორესპონდენტის სპირიდონოვის მკვლელობის საქმის ხელმეორედ გარჩევა. ბრალდებულთა და მოწმეების დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ ციხეულის ფაბრიკაში ადგილი ჰქონია დირექტორ გვირსოვის თვითნებობას.

საზოგადო ბრალმდებლობის წარმომადგენელი სოსნოვსკი თავის სიტყვაში ამბობს: სამძიმოა ამ საქმის გარჩევა. გვიხდება მუშათა კლასიდან გამოსულთა გასამართლება. მძიმე, სამწუხარო და სასირცხვო ამ მოვლენის განხილვა აქ, წითელ მოსკოვში, რევოლიუციის მე 6 წელზე. ახლა, როდესაც ყველა სტამბები და გაზეთები მუშურ-გლეხური ძალა-უფლების ხელშია, ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვებთ არავითარი თავდასხმა მუშათა პრესის თავისუფლებაზე. პრესა ეს ერთი უმთავრესი იარაღია მუშათა კლასის სოციალისტური აღმზრდელობისა. ეჭვს გარეშეა, რომ სპირიდონოვს ტყვიით გაუგმირეს გული მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო „პრავდა“-ს თანამშრომელი. ისინი ვინც ხედავდენ სპირიდონოვს „პრავდა“-ს სარედაქციო კრებებზე, შენიშნავდენ სპირიდონოვის წინათგრძნობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. არ მოხერხდა სპირიდონოვის გადარჩენა. სასამართლომ გარკვევით უნდა განაცხადოს საქვეყნოთ, რომ სპირიდონოვები დაცულ იქნებიან მათ მუშაობაში ყოველგვარ თავდასხმისაგან. მუშა კორესპონდენტს ბევრი მტრები ყავს. ამხილეს რა მათ, მან უნდა სწეროს მასზე. რაც უმთავრესია, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ხაწერი იქნება უსარგებლო. სასამართლომ უნდა სთქვას ამ საქმის შესახებ მტკიცე სიტყვა, რომელსაც ელიან მისგან ათასი მუშა კორესპონდენტები: შესაძლებელია თუ არა განაგრძონ მათ მუშაობა. მუშათა პრესის სახელით მე მოუწოდებ სასამართლოს რათა ის გადავიდეს შეტევაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ეცოდინება, რომ სამართლის წყობა არ შეიძლება და რომ თვითეულ ხულიგანს შეეძლება სიმართლის ხმის ჩაჩუმება. სასამართლომ ამ პროცესში უნდა გადაწყვიტოს არა მარტო ბრალდებულთა ბედი, არამედ უნდა სთქვას თავისი მტკიცე სიტყვა, თუ როგორ უნდა ეპყრობოდენ მუშათა პრესას, რომელიც რევოლიუციონური ბრძოლის ტანჯვა-წვალებაში იშვა, და დაუშვებს თუ არა პროლეტარული სამართალი, რომ პროლეტარული სიმართლე ფეხს ქვეშ ითელებოდეს.

კომინტერნში

მეოთხე კონგრესი

მოსკოვი, 2 დეკ. კამათში საორგანიზაციო საკითხის შესახებ ბორდიგამ (იტალია) და კატაიამამ (იაპონია) განაცხადეს, რომ საჭიროა სასტიკი ცენტრალიზაცია ორგანიზაციების, რომელნიც კომინტერნში შედიან. ებერლეინმა (გერმანია) საბოლოო სიტყვაში გამოსთქვა აზრი, რომ კომპარტიებმა უარი უნდა განაცხადონ პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკების გადადგომის მიღებაზე.

სამხრეთ სლავიის დელეგატის წინადადებით კონგრესი იღებს საპროტესტო მოწოდებას სამხრეთ სლავიაში არსებულ თეთრი ტერორის და სამხრეთ სლავიის კომუნისტის კიროშევიჩისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის წინააღმდეგ.

კატაიამას წინადადებით კონგრესი ეგვიპტის საკითხის შესახებ იღებს რეზოლიუციას, რომელშიც გამოთქმულია სურვილი სოციალისტურ პარტიიდან რეფორმისტების გაძევების, 21 მუხლის მისაღებათ პარტიული ყრილობის მოწვევის და სოციალისტური პარტიის სახელწოდების კომუნისტურით შეცვლის შესახებ.

რევოლიუციის არქივის დათვალიერება

მოსკოვი, 4 დეკემბერი. კომინტერნის კონგრესის 20 ზე მეტმა დელეგატმა ინახულა ოქტომბრის რევოლიუციის არქივი და დაათვალიერა რ. კ. პ. ცკ-ს განყოფილება. განსაკუთრებული ყურადღება დელეგატებმა მიაქციეს რეზოლიუციის პროექტს შეიარაღებულ აჯანყების შესახებ, რომელიც დაწერილია ამხ ლენინის მიერ წითელი ფანქარით და დათარიღებულია 16 ოქტომბრ. 1917 წ.

ამხ ტროცკის მოხსენება

მოსკოვი. 4 დეკემბ. კომინტერნის კონგრესის 1 დეკემბრის სხდომაზე ამხ ტროცკიმ თავის მოხსენებაში, საფრანგეთის კომპარტიის შესახებ, განაცხადა: „კრიზისს, რომელსაც განიცდის დღეს საფრანგეთის ბურჟუაზიული სახელმწიფო, შეუძლია ხელი შეუწყოს საფრანგეთის კომპარტიის განვითარებას, მაგრამ, უკანას- შეცდომებს და [illegible] რენუს კნელი თვით განიცდის დიდ კრიზისს. პარტიის წევრთა და პარტიული გაზეთების ხელისმომწერთა რიცხვი მნიშვნელოვანად შემცირდა. გაცხარებული ფრაქციული ბრძოლა პარტიის კრიტიკულ მდგომარეობის მაჩვენებელია. ბურჟუაზიული გაზეთები იყენებენ ფრაქციულ ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ.

პარტიის ხელმძღვანელი ინსტანციები პასიურობას და კონსერვატორობას იჩენენ. პროფესიონალურ მოძრაობის დარგში პარტია შემცდარ პოლიტიკას აწარმოებდა.

კომპარტიებმა უნდა შეიტანონ პროფკავშირებში კომუნისტური სული, ხოლო კომუნისტმა ჟაკობმა საფრანგეთის პარტიულ ყრილობაზე განაცხადა რომ პარტიას საქმე არ აქვს პროფესიონალურ მოძრაობასთანო, ლაფონმა კი განაცხადა, რომ ეკონომიურ სფეროში პარტიას მხოლოდ დამხმარე როლის თამაში შეუძლიაო“.

ამხ. ტროცკი აღნიშნავს, რომ პროფკავშირებში მუშაობა არის კომპარტიის არა მარტო უფლება არამედ მოვალეობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია ვერ მოიპოვებს მუშათა კლასის ნდობას. როდესაც ალმასკომი ჩაერია რუსეთის კომპარტიის ცხოვრებაში და კაშენის თავმჯდომარეობით გამოჰყო კომისია მუშათა ოპოზიციის საკითხის განსახილველად რუს კომპარტია ამაში სრულიადაც ვერ ხედავდა პარტიულ ღირსების შემცირებას. ამ ჩარევამ დიდებული შედეგები მისცა რუსეთის კომპარტიას

კომინტერნის პარტიების ინტერესი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ყალბათ გაგებული პარტიული ღირსება პარტიის ღირსების დამოუკიდებლობის ლოზუნგი მხოლოდ საშუალება იყო ანტიკომუნისტურ პოლიტიკის დასაფარავად. ახლა საფრანგეთის პარტიაში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც პარტიის ყველა ჯგუფებში არიან მუშათა რევოლიუციონური ელემენტები.

ტროცკის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია ხაზს უსვამს ცენტრის ჯგუფის შეცდომებს. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მემარცხენე ჯგუფს საერთოთ სწორად ქონდა წარმოდგენილი კომინტერნის პოლიტიკა. პარტიული თანამდებობანი პროპორციულად უნდა იყოს განაწილებული ფრაქციებს შორის. პარტიის ყველა ხელმძღვანელმა ფენებმა უნდა ააფეთქონ ხიდი, რომელიც ბურჟუაზიისაკენ მიიმართება. მანდატების ცხრა მეათედი პარლამენტში უნდა მიეცეს პარტიულ მუშებს. აუცილებლად საჭიროა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტები. უნდა გატარებულ იქნას ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და წამოყენებული მუშათა მთავრობის ლოზუნგი.

დასკვნაში ტროცკი ხაზს უსვამს, რომ არავითარი საფუძველი არ არის საფრანგეთის პარტიაში განხეთქილებისათვის. საფრანგეთის მოძრაობის რევოლიუციონური ტრადიციები გაადვილებენ საორგანიზაციო სიძნელეებს.

ტროცკის სიტყვა, რომელიც 3 ნახ. საათს გაგრძელდა, იფარება მთელი კონგრესის მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით.

პროფინტერნში

მეორე კონგრესი

მოსკოვი. 2 დეკემბ. პროფინტერნის კონგრესის 30 ნოემბრის სხდომაზე ამხ. ზინოვიევმა კომინტერნის კონგრესის სახელით გასცა პასუხი პროფინტერნისათვის ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხზე პროფინტერნის წესდების მეთერთმეტე მუხლის შესახებ. ეს მუხლი გულისხმობს პროფინტერნსა და კომინტერნს შორის ორგანიულ კავშირს. საფრანგეთის შრომის საერთო უნიტარული კონფედერაციამ ამ მუხლში დაინახა მუქარა თავის დამოუკიდებელი არსებობისათვის და პროფინტერნში შესვლის საკითხი დაუკავშირა მეთერთმეტე მუხლის რედაქციის შეცვლის საკითხთან.

ზინოვიევმა განაცხადა, რომ კომინტერნი რჩება მათთვის პრინციპიალურ პოზიციებზე პროფინტერნსა და კომინტერნს შორის მჭიდრო კავშირის აუცილებლობის შესახებ, რევოლიუციონურ პროლეტარიატის გაერთიანების მიზნით, მიდის დათმობაზე მეთერთმეტე მუხლის შეცვლის საკითხში.

კონგრესი ერთხმად იღებს რეზოლიუციას, შედგენილს ზინოვიევის მიერ გაცემული პასუხის მიხედვით.

ამის შემდეგ **საფრანგეთის დელეგაციის სახელით მონმუსო აცხადებს, რომ დღეიდან შრომის უნიტარული კონფედერაცია ოფიციალურად შედის პროფინტერნში.** ამ განცხადებას დიდი ტაშით ხვდება კონგრესი. ყველანი დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო. 1 დეკემბ. (დეპეშით). საღამოს დავამთავრეთ სადგურ ნასოსნაიას ექვსასი ცხენის ძალის მქონე დიზელის აღდგენა. ეს დიზელი დღე და ღამეში იძლევა დაახლოვებით რვაასი ათას ვედროს. საღამოს მოხდა დიზელის გასინჯვა, რამაც მოგვცა ძლიერ კარგი შედეგები. დღეს პირველ დეკემბერს დიზელი ამუშავდება და დაიწყება წყლის გადმოქაჩვა. დიზელის ასე სწრაფად აღდგენა უნდა მიეწეროს მუშების გმირულ შრომას. შეიძლება ითქვას, რომ წყლის კრიზისი განვლილია.

დ. კართვე.

საბავშო ლიტერატურა და სახალხო განათლების კომისარიატი

სახალხო განათლების კომისარიატის მუშაობის საერთო გეგმაში უმთავრესი ადგილი უკავია საბავშო მწერლობის, მუსიკის, თეატრის და სხვ. შექმნა-განვითარების ზრუნვას.

ახალი პროფესიონალური პედაგოგიური აზრი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ბავშის აღზრდაში მთელ მის სულიერ ძალთა ჰარმონიულ განვითარებას, მისი თვითმოქმედების გაღვიძების საშუალებით; ბავშის დამოუკიდებელ მუშაობისათვის საკვების მოწოდებას.

ამიტომაც საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ საბავშო გამომცემლობას და საბავშო თეატრს.

რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატმა შექმნა სამაგალითო საბავშო თეატრი მოსკოვში, დიდი ენერგია და თანხა დახარჯა საბავშო მეცნიერულ-პოპულიარულ და მხატვრულ მწერლობის გამოსაცემად. ამ მუშაობის გარეშე ვერ განვითარდებოდა შრომის შკოლაც, რომლის მიზანია სკოლის გარეშე და სკოლაში ბავშის აზროვნების განვითარების ჰარმონიული შეთანხმება.

მერე როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს საქმე, საბავშო გამომცემლობას, თეატრს და მუსიკას საკმაო ადგილი რომ არ ჰქონოდა განათლების კომისარიატის მუშაობაში.

ჩვენთვის საქართველოში კიდევ უფრო საჭიროა არსებობა საბავშო გამომცემლობის ყველა დარგის და საბავშო თეატრის შესაფერ სიმაღლეზე დაყენება, რადგან ჩვენი საბავშო მწერლობა ჯერ-ჯერობით ძალიან ღარიბია და ქართული საბავშო წიგნები სრულებით ვერ აკმაყოფილებენ სკოლისა და ოჯახის მოთხოვნილებას.

ამ განზრახვით შეიქმნა სამხატვრო-სალიტერატურო სექცია სოციალურ აღზრდის განყოფილებასთან, რომელიც 1921 წლის ივნისში შეუდგა მუშაობას.

სექციის მუშაობის საგანი ამ სახით იყო გამორკვეული.

1) სექციის მიზანია საბავშო მწერლობის, საბავშო მუსიკის და თეატრის შექმნა და განვითარება.

2) უმაღლესი კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ დარგში რესპუბლიკის ყველა კერძო და საზოგადო ორგანიზაციების მუშაობისა.

უწინარეს ყოვლისა სექციამ იკისრა მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის იმ ჟურნალების გამოცემა, რომელნიც წინედ გამოდიოდნენ, ხელახლად შეიმუშავა მათი პროგრამა და განაგრძო გამომცემლობა. შემდეგ შეიმუშავა საგამომცემლო მუშაობის გეგმა, რომელსაც ასრულებდა შეძლების დაგვარად.

სულ გამოიცა 17 წიგნი სხვა და სხვა სახელწოდებით, 16—274 გვერდის თვითეული, მხატვრულ და მეცნიერულ პოპულიარულ შინაარსისა. ყველა წიგნი ძალიან მხატვრულადაა გამოცემული, ის თი ტიპის გამოცემანიც არის, რომელიც ჯერ არ ყოფილა ქართულ ენაზე.

ასეთია კრებული „შემოდგომა“ და ზღაპარი „დედაბერი, ტურა და მელია კუდი გძელია“, ლიტოგრაფიის საშუალებით გამოცემული. თვითეული წიგნი 2,000—31,000 ცალამდე იბეჭდებოდა.

სომხურ ენაზე გამოცემულია ჟურნალი „აკერ“ და კიდევ ერთი წიგნი, სულ 13 ათასი ცალი; თათრულ ენაზე ერთი წიგნი, 1,000 ცალი.

მუსიკის დარგისა გამოიცა „ინტერნაციონალი“ ქართულად და სომხურ ენაზე და ერთი სარევოლიუციო სიმღერა.

სულ გამოიცა სხვადასხვა შინაარსით:

ქართული წიგნები	79,000 ც.
ჟურნალები ქართულ ენაზე	28,000 ც.
მუსიკალური ნაწარმოები	1 ც.
წიგნები სომხურ ენაზე	10,000 ც.
ჟურნალები სომხურ ენაზე	3.000 ც.
მუსიკალური ნაწარმოები	1.000 ც.
წიგნები თათრულ ენაზე	1.000 ც.

ყველა გამოცემა 123.000 ცალი.

სექციის მუშაობა ვერ შესრულდა მისგან შემუშავებულ გეგმის დაგვარად. ამ გეგმის თანახმად მიმდინარე წლის განმავლობაში კიდევ 14 წიგნი უნდა გამოცემულიყო მხატვრულ და მეცნიერულ პოპულიარულ შინაარსისა. ვერ მოხერხდა გეგმის შესრულება ქაღალდისა და საშუალების უქონლობის გამო. ეს გამოუცემელი 14 წიგნი მომავალი წლის გეგმაში უნდა გადავიტანოთ. ქაღალდის და სახსრის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა აგრეთვე ყოველ თვე საბავშო ჟურნალების გამოცემა. ამავე დროს წესიერად ჟურნალების გამოცემა არა მარტო შექმნის მკითხველ ბავშვების მუდმივ აუდიტორიას, არა მარტო აჩუქებს მოზარდ თაობისათვის, მისთვის გასაგები ენით, მიმდინარე ცხოვრების და შეუწყვეტლად ცოცხალ მასალას აწვდის გონების განვითარებისათვის, არამედ შექმნის აგრეთვე საბავშო მწერლებს, რომელნიც ასე საჭირონი არიან საქართველოსთვის.

ამას გარდა შემუშავდა და დაურიგდა განათლების კომისარიატის მაზრების და ქალაქების განყოფილებათა წარმომადგენლებს ანკეტა, რომლის მიზანია იმის გამორკვევა, თუ ამჟამად მეცნიერებისა და მხატვრობის სფეროში რა ინტერესები აღელძრა მოზარდ თაობას.

შემდეგ სექციამ შეიმუშავა პროექტი ამიერ-კავკასიის ბოტანიკური და ზოოლოგიური ატლასის გამოცემისა; ეს ატლასები (განსაკუთრებით ბოტანიკური), თუ გამოიცა, სპეციალისტების აზრით, წარმოადგენს არა მარტო უსაჭიროეს სახელმძღვანელოს შრომის სკოლისათვის და ბავშვებისათვის სამშობლო ბუნების გასაცნობად არამედ აგრეთვე დიდ განძს მეცნიერებისათვის.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, შემუშავებულია გეგმა საბავშო თეატრის ორგანიზაციისა, მოსკოვის საბავშო თეატრის მზგავსად. საბავშო თეატრი განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა სად გასართობს მოკლებული ბავშვები იძულებულნი არიან თავისი ესთეტიური და ზნეობრივი გრძნობა ამერიკანულ კინო ტრიუკების ლენტებითა და ქუჩით ჰკვებონ.

ამგვარად სექციის მუშაობას უკვე საგრძნობი შედეგი მოჰყვა. შესაძლებელიცაა და საჭიროცაა მეტი ნაყოფი გამოიღოს მან. ამისათვის მას უნდა მიეცეს საკმაო თანხა თავისი გეგმის განსახორციელებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში საგრძნობლად დაეცემა სექციის მთელი მუშაობა, რომელიც მიმართულია შრომის სკოლის განმტკიცებისა და განვითარებისაკენ, საბჭოთა აღზრდის მთელი სისტემის განხორციელებისაკენ.

X.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის

ბორჯომი

26 ნოემბერს 1922 წ. ქალ. ბორჯომის ალმასკომის შენობაში შესდგა მაზრის საბჭოების ყრილობა. ყრილობას დაესწრო წევრების უმრავლესობა.

ყრილობას თავმჯდომარეობდა ამხ. რუხაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობის შესახებ.
2. მოხსენება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის შესახებ.
3. მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ყრილობის შესახებ.
4. დელეგატების არჩევნები ამიერ-კავკასიის ყრილობაზე
5. მიმდინარე კითხვები.

ყრილობამ, სანამ ის დღის წესრიგში დასმულ კითხვების გარჩევას შეუდგებოდა, ერთხმათ მიიღო მისალმებითი დეპეშა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს კომუნისტური პარტიის მიმართ.

პირველ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სიამაშვილმა.

მომხსენებელი დაწვრილებით ეხება პოლიტიკურ და ეკონომიურ მხარეებს ფედერაციისა, რამაც ხელი შეუწყო გამარჯვებული გამოსულიყვნენ ორივე ფრონტზე ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხანაგ სიამაიშვილის მოხსენება საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობის შესახებ, მაზრის მესამე საბჭოთა ყრილობა სრულიად იზიარებს დღემდე წარმოებულ პოლიტიკას ფედერაციის განმტკიცების საქმეში“.

მეორე და მესამე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რუხაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება პოლიტიკურ-ეკონომიურ და სამხედრო სფეროში საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე კავშირს.

ამხ. რუხაძე ამბობს, რომ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის დაარსების მომხრე არის არა მარტო კომუნისტური პარტიები ამავე რესპუბლიკებისა, არამედ ამას მოითხოვს საბჭოთა ფედერაციის მთელი მშრომელი ხალხის ინტერესები და აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებიც.

მოხსენებების შემდეგ იქნა მიღებული რეზოლიუცია შემდეგი შინაარსისა:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. დ. რუხაძისა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის შესახებ, ბორჯომის მაზრის საბჭოთა მესამე ყრილობა მიესალმება გადაწყვეტილებას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. დამსწრე ამხანაგები სიტყვას იძლევიან, რომ მიიღებენ უშუალო და აქტიურ მონაწილეობას ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად“.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის დელეგატებათ იქნენ ამორჩეულნი შემდეგი ამხანაგები: ამხ. ფილიპე მახარაძე, ამხ. დ. რუხაძე (ბორჯომის აღმასკომის თავმჯდომარე) და ამხ. ა. სიამაიშვილი (ბორჯ. პარტკომის მდივანი).

დასასრულ ამხანაგებს ეუწყა, რომ ყრილობას დაესწრო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ივანოვ-კავკასსკი.

თანახმად ყრილობის თხოვნისა, ამხ. ივანოვ-კავკასსკი აკეთებს მოხსენებას ს. ს. რესპუბლიკების კავშირის მნიშვნელობის შესახებ.

ყრილობას დიდი საქმიანობა ეტყობოდა და ამხანაგები მისი მუშაობით კმაყოფილნი დარჩნენ.

ანდრო ცახისუბნელი.

წითელ ჯარში

წითელი მეთაურების პირველი გამოშვება

დღეს მოხდება პირველი გამოშვება ქართული ჯარის წითელი მეთაურებისა, რომელთაც საბჭოთა რესპუბლიკა მეტად ღირსშესანიშნავ როლს აკისრებს. მათ ევალება გახდენ ჯარის არა მარტო სამხედრო მეთაურები, არამედ დაიკავონ ადგილი ჯარის პოლიტიკურად აღმზრდელებისა, გაუწიონ მას პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი განსხვავებაა ძველ ბურჟუაზიულ სკოლიდან გამოშვებულ მეთაურთ-ოფიცერთა და ეხლანდელ წითელ მეთაურთა შორის. თავის-თავად ცხადია, რომ მუშურ-გლეხური რესპუბლიკა შეუძლიათ დაიცვან მხოლოდ მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულებს და არა ბურჟუა ფეოდალების შვილებს, როგორიც იყო ძველი ოფიცრობა. უკანასკნელებმა არჩიეს ჩოლოყაშვილის ბანდაში ყოფნა ან თბილისის ქუჩებზე ხეტიალი მაგრამ მათი განზე გადგომით საბჭოთა ხელისუფლება თუ არაფერს მოიგებს, ყოველ შემთხვევაში არაფერს დაკარგავს. რესპუბლიკამ შესძლო ძველი იუნკერთა სასწავლებლის მაგივრად ახალი წითელი სამხედრო სკოლის შექმნა, რომელიც მას აძლევს სახელოვან დამცველებს. 99 პროც. კურსანტებისა მუშათა და გლეხის შვილებია.

თუმცა ჯერ-ჯერობით ჩვენ ფედერაციას არავინ არ ესხმის იარაღით ხელში, მაგრამ ჩვენ მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს, ჩვენ უნდა გავწვრთვნათ პოლიტიკურათ წითელი ლაშქარი, წითელ მეთაურების საშუალებით, რომელნიც დღევანდლამდე ჩვენ არ გვყავდა. მათ საკმარის რიცხვის შექმნას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც პარტია და კომკავშირი თავის საუკეთესო წევრებს მისცემს საკომანდო კურსებს და ერთიორად გააძლიერებს ამ პოლიტიკურ მუშაობას; ჩვენ ერთ წუთსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრით ბევრად უარეს პირობებში იმყოფება, ვიდრე დიდი რუსეთი, რომელმაც შესძლო გამოეშვა საკმაო რიცხვი წითელი მეთაურებისა.

ქართული ლაშქრის წითელი მეთაურების პირველი გამოშვება, ეს თუმცა პირველი, მაგრამ მეტად ღირსშესანიშნავი გამარჯვებაა საბჭოთა რესპუბლიკის და ჩვენ მოველით პარტიის და კავშირის დახმარებით შემდეგ გამარჯვებასაც ამ დარგში.

ბ. ძ—ძე.

ეკონომიური ცხოვრება

— **ხილეულობის დამამზადებელი ქარხნები.** სახალხო კომისართა საბჭოში, მიწად მოქმედების სახ. კომისარიატმა წარადგინა ვრცელი მოხსენება, იმის შესახებ, თუ საქართველოს რომელ რაიონშია შესაძლებელი ხილეულობის კონსერვების დამამზადებელი ქარხნები და ხილის საშრობ პუნქტების დაარსება. ეს ადგილებია უმთავრესად კახეთის შემდეგ რაიონებში: ალაზნის ველი, ერწო თიანეთი; ქართლის—ქსანის რაიონის, თბილისის, ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის რაიონში და შემდეგ დასავლეთ საქართველოს მხარეები: შორაპნის მაზრა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები, სამეგრელო, გურია ოზურგეთის მაზრით და ბათომის ოლქი. დაახლოებით ცნობები საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოსული ხილეულობისა შემდეგია: ვაშლი—1.000 000 ფ., მსხალი—400,000 ფ., ტყის მსხალი—200,000 ფ., ქლიავი 200,000 ფ., ჰერამი—50,000 ფ., ატამი—150,000 ფუთ., ბალი და ალუბალი—200,000 ფუთ., ფორთოხ ლი, ნარინჯი, ლიმონი—60,000 ფ., მაყვალი—20,000 ფ. მარწყვი—10,000 ფ., კომში—20,000 ფ., სოკო—100,000 ფ., აგრეთვე საქართველო იძლევა წლიურად 2,500 000 ფუთ კართოფილს, 2.000.000 ფუთ კომბოსტოს, 800,000 ფუთ ქარხალ და ბერძნულ კაკალს—700,000 ფუთს.

— **საქართველოს ნავთის მრეწველობა.** უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ნავთის წყაროებზე მუშაობის შეჩერება ზემო-ხოდაშენში და ცხინვალში, სამაგიეროთ გაძლიერებულ უნდა იქნას მუშაობა შირაქში, ამ მიზნით—მუშაობის ნაყოფიერ და სწრაფის მსვლელობისათვის—პრეზიდიუმმა გამოყო განსაკუთრებული მმართველობა, რომელსაც მიენდო მუშაობის უშუალოდ ხელმძღვანელობა და საჭირო საშუალებათა გამონახვა მიმდინარე და გათვალისწინებულ ხარჯების დასაფარავათ სათბობი განყოფილება, სამთო კომიტეტი და ტყიბულ-შრომის გამგეობა ყოველთვიურათ გაუწევს აღნიშნულ მმართველობას დახმარებას მუშაობის სასწრაფოთ ჩატარებისათვის.

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი, 4 დეკემბერი. უცხოეთის ვალიუტის არაოფიციალური კურსი:

	1 დეკემბერს.	2 დეკემბერს.
სტერლინგი	1.360.000—1.360.000	1.340.000—1.350.000
ფრანკი ფრანგული	18.000— 19 000	18.000— 18.500
ლირა იტალიური	11.000— 11 500	11.000— 11.500
ლირა ოსმ. ქაღალდის	170.000— 171.000	170.000- 171.000
დოლარი	315.000— 320.000	315.000— 320 000
მარკა გერმ.	მოთხოვნილება არ არის	მოთხოვნილ. არ არის
ოქროს 10 მან.	1.785.000—1.800.000	1.770 000—1.870.000
ოქროს ლირა	1.450.000—1.460.000	1.420.000—1.440.000

ბათომის ბირჟა

ბათომი. 2 დეკემბ. არაოფიციალური ბირჟა 1 დეკემბერს: გირ. სტერლინგი—1.3[illegible]0.000, ფრანკი—16.000, ლირა იტალ.—10.000, ლირა ოსმალ. ქაღალდის—159.000, დოლარი—250.000, ოქროს 10 მან. 1.550.000, ოქროს ლირა ოსმალური—1.160,000.

სასურსათო გადასახადის კამპანია

თანახმად სასურსათო კომისარიატის ცნობებისა 2 დეკემბრამდე აღმოსავლეთ საქართველოს 10 მაზრაში სასურსათო გადასახადის სახით შეკრებულია 567.145 ფუთი ხორბალი, რაც შეადგენს ნავარაუდევ რაოდენობის 98,7 პროცენტს.

ასაკრეფია 1,3 პროც. ან 7588 ფ. ხორბალი, რომელიც შეკრეფილ უნდა იქნას სამ მაზრაში, სახელდობრ, ბორჩალოს—1295 ფ. დუშეთის—2,291 ფ. და თიანეთის—4002 ფ., დანარჩენ 7 მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრეფა დამთავრებულია და აკრეფილია გაწერილ რაოდენობას 100 პროცენტი.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **შუამდგომლობა.** საქართველოს პოლიგრაფიული განყოფილება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა აღმოუჩინოს დახმარება განყოფილებას, რომელსაც განზრახული აქვს დაარსოს თავის 400 წევრთათვის შესაფერი კლუბი-სამკითხველო, განყოფილება მიუთითებს მთავრობას იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული კლუბის გახსნა დაჯდება 130 მილიონი მანეთი და ასეთი თანხა პოლიგრაფიულ განყოფილებას არა აქვს.

— **პროფკავშირთა საბჭოს თხოვნა** საქართველოს პროფკავშირთა საბჭო სთხოვს მთავრობას დაუყონებლივ იქნეს დამტკიცებული პროექტი № 9 დეკრეტის დამატება—კავშირის წევრ უმუშევრების ბინის ქირის გადასახადის შესახებ; რომლის ძალით ხსენებული წევრები უთანაბრდებიან 1 კატეგორიის გადამხდელებს. საბჭო ხსენებულ პროექტის სასწრაფოთ დამტკიცების საჭიროებას ასაბუთებს მით, რომ ბინის პატრონები სარგებლობენ ამ შემთხვევით და ავიწროებენ წევრ უმუშევრებს ზედმეტი ქირის გადახდევინებით.

განათლების კომისარიატში

— **სასკოლო გადასახადის პროექტი.** სასკოლო გადასახადის პროექტი განათლების კომისარიატის კოლეგიამ მიიღო მცირედი ცვლილებით, ხოლ ამხ. ე. მამულაიშვილს და ღ. რუხაძ დაევალათ ამ ცვლილებათა შესახ შეუთანხმდენ ფინანსთა კომისარიატ

— **პოლიტექნიკუმისათვის ახალი ბინა.** ვინაიდან პოლიტექნიკუმს ამ ჟამათ ბინა არ მოეპოვება და მეტად უხერხულ მდგომარეობაშია, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლ. ლენინის სახელობის პოლიტექნიკუმათ გადაკეთდა და ახლა ეს გარემოება ორკეცად ავალებს კომისარიატს მას სათანადო ბინა მოუძებნოს, კოლეგიამ დაადგინა მოათავსოს ის ახლად განთავისუფლებულ ჯანმრთელობის კომისარიატის შენობაში ამის შესახებ უკვე მიღებულია ზომები, რომ პოლიტექნიკუმის მოწყობა მოეწყოს დაჩქარებით.

იუსტიციის კომისარიატში.

— **კანონი სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადებულ სახლების დაბრუნების შესახებ.** იუსტიციის კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადებულ სახლების შესახებ თავიანთ პატრონებზე გადასაცემათ. კანონი არ გავრცელდება თბილისზე, ბათომზე და ისეთ სახლებზე რომლებშიაც მოთავსებულია სახელმწიფო დაწესებულებანი.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **შაბიამანის მიღება.** საქართველოსთვის ბათომში უკვე მიღებულია შაბიამანის დიდი პარტია (23 ათასი ფუთი), რაც სავსებით დააკმაყოფილებს კახეთის ვენახების 75 პროც.

— **ვენახების აღდგენისათვის.** მიმდინარე წლის 29 ნოემბერს მომხდარ მიწად მოქმედების კომისარიატის თათბირზე კახეთში ვენახების აღდგენის საკითხის შესახებ, მოსმენილ იქნა კახეთის მევენახეთა ყრილობის მოხსენება და რეზოლიუცია. მოხსენების და რეზოლიუციის განხილვის შემდეგ თათბირმა აირჩია 9 ქვე-კომისია: იურიდიული, მევენახეობის საცდელი სადგურის მომწყობი, ნიადაგის გამომკვლევი, უკვე არსებულ ამერიკულ ვაზის გამავრცელებელი, მევენახეთა ამხანაგობების (ცენტრალური და რაიონული) და მევენახეობის პრაქტიკულ კურსების მომწყობი ქვე-კომისიები. ქვეკომისიებმა უნდა დაამზადონ მუშაობის გეგმა, რათა სასწრაფო წესით ცხოვრებაში გატარებულ იქნას საბჭოს დადგენილებები.

სახ. სასურს. კომისარიატში

— **მარშრუტი მოსკოვში** სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე დაამზადა მეოთხე სამარშრუტო მატარებელი, რომელიც თბილისიდან მოსკოვისაკენ გავა დეკემბრის 8-ს. მატარებელი 40 ვაგონს შეიცავს დატვირთულია დაფნის ფოთლით, თხილით, შვეიცარიულ ყველით, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებით, ბრინჯით, ღვინით, ხილით, ჩირით და სხვ.

— **ჩირის დამზადება.** სახალხო სასურსათო კომისარიატის საკომერციო განყოფილებამ გორის მაზრის მეხილეთა ამხანაგობათაგან „ლიახვისა“ და „ქართლისაგან“ ექვსასამდე ფუთი ჩირი შეიძინა, რომელიც გაგზავნილ იქნება მოსკოვში.

შრომის და ტვირთზიდვის განყოფილება.

— **ხარკის წესით გამოყვანილთა რიცხვი.** ოქტომბრის განმავლობაში განყოფილების მიერ მაზრების მიხედვით გამოყვანილი და დანაწილებული იქნა სამეურნეო განყოფილებების მოთხოვნილებების ჩვენებით სულ—183,634 მუშა, 41,155 ტვირთზიდვის დღეები და ცხენი.

— **ვის რამდენი მუშა დღე მიეცა აღნიშნულ რიცხვიდან.** ამავე თვეში სასურსათო კომისარიატს ბოძების გადასატანათ მიეცა 100 ტვირთზიდვის დღე, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს ბოძების გადასატანათ 100 მუშა დღე და 50 ტვირთ ზიდვის დღე. რკინის გზის სამმართველოს სატყეო კომიტეტს სატყეო მასალების გასაკეთებლათ და გადასაზიდავათ—765 მუშა და 11,219 ტვირთზიდვის დღე, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წყალშენს სამელიორაციო მუშაობისათვის—82,200 მუშა და 10,250 ტვირთზიდვის დღე. რკინის გზის სამმართველოს გზების შესაკეთებლათ—48,420 მუშა და 450 ტვირთზიდვის დღე, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გზატკეცილების გამოყვანა კომიტეტს 36,784 მუშა და 3,978 ტვირთზიდვის დღე, მაზრებში ადგილობრივ სხვადასხვა საჭიროებისათვის—15,265 მუშა და 24,263 ტვირთზიდვის დღე და 24 ცხენი.

— **მაზრების მიხედვით.** აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება დანაწილებულია 14 მაზრის მიხედვით რომელთა შორის ყველაზე მეტი გამოყვანა უხდება ქუთაისის მაზრას, მაგალითად ოქტომბერში ქუთაისის მაზრაში მოხმარებულია ზევით აღნიშნულ ჯამიდან 41,000 მუშა და 36,600 ტვირთზიდვის დღე.

— **ხარკის ფულადი შეცვლის გამო.** თბილისში ხარკის ფულადი შეცვლა დამთავრდა და უკვე შეგროვილია 8 მილიარდამდე, ბათომში 2 მილიარდამდე, დანარჩენ ქალაქებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ამ მხრივ.

აღმოსავლეთ ხაზ. რევტრიბუნალში.

— **წითელ ნაწილებისათვის უვარგისი პურის მიწოდებისათვის.** საქართველოს ბრიგადის სამხედრო ნაწილის უფროსისაგან რევტრიბუნალმა მიიღო განცხადება მოიჯარადრე მოქ. ჩახაინცის პასუხისგებაში მისაცემათ, რომელსაც ბრალდება უვარგისი პურის მიწოდება ჯარის ნაწილებისათვის.

სხვა და სხვა.

— **სამკითხველო.** ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად საბჭოთა მუშაკების კავშირის კულტურულმა განყოფილებამ გახსნა საკუთარი სამკითხველო, რომელიც დროებით მოთავსებულია პლეხანოვის პრ. № 72. სამკითხველოთი სარგებლობენ კავშირის ყველა წევრები.

ხელოვნება

— **ქართული თეატრის დღესასწაული.** 2 იანვარს, ქართულ თეატრს უსრულდება 70 წელი თვისი მოღვაწეობის დაწყებიდან, და სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა კავშირი უკვე შეუდგა სამზადისს ამ დღესასწაულისათვის. გამოცემული იქნება „მსახიობის დღე“, რომლის რედაქტორობა დაევალა შალვა დადიანს. მზადდება სპეციალურად ამ დღისათვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით, ამ პიესაში რუს მოხელის ალმასრულებლად, განზრახულია მოწვეულ იქნას ამ ჟამად ტფილისში მყოფი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი.

— **ვარლამ რუხაძის საღამო.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება პოეტ ვარლამ რუხაძის საღამო. ფართე პროგრამით.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სამშაბათს 5 დეკემბერს, პირველად განახლების შემდეგ „მარგალიტის მაძიებელნი“ მონ. პოპოვა, სარაჯიშვილი, გორელოვი.

— **სუმბათაშვილ-იუჟინის საპატივცემლო წარმოდგენა.** ოთხშაბათს, სახელმწიფო ოპერაში, სუმბათაშვილ-იუჟინის საპატივცემლოთ წარმოდგენილი იქნება ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. წარმოდგენის წინ სუმბათაშვილ იუჟინი წარმოსთქვამს სიტყვას.

— **სახელმწიფო პირველი კონსერვატორია.** სახელმწიფო პირველ კონსერვატორიაში მიმდინარე სასწავლო წელში მიწვეულია 14 პროფესორი და 14 უფროსი მასწავლებელი. მოწაფეები—ქართველი 200, რუსი—160, სომეხი—190, ებრაელი—80, სხვა და სხვა ეროვნების—20. სულ 620. ამათგან ფორტეპიანოს კლასში 279, სიმღერის 183, ვიოლონის 18 და სკრიპკას 56.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—მარგალიტის მაძიებელნი პოპოვას, სარაჯიშვილის, ინაშვილის და ქურხულის მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი—ვარლამ რუხაძის საღამო. სახალხო სახლი—რუსული წარმოდგენა „კანცლერი და სლესარი“. ახალი თეატრი—ახალი რუსული წარმოდგენა. კინო-მინიონ—ჯვრის სალდათი. არფასტო—გარეული ხარი. სოლეილი—ბუბნის ტუზი, მეორე სერია. კინო-ზერკალო—სურამის ციხე. კინო-კამერონი—ასე უნდა. აპოლლო—მსოფლიო ბოროტება. კინო-პალას—ტარზანის ქალიშვილი, მეხუთე სერია. ალკრე—შენ დამსხვრიე ჩემი სიცოცხლე. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამმა ფრანგული ჭიდაობით.

პროვინციაში

ოზურგეთის ალმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილების მუშაობა.

მიუხედავათ იმისა, რომ გურია მთლად გორიანი ადგილია და წვრილ კერძო მესაკუთრეთა კუთხე, სახნავსათესი მიწით გურიის მშრომელ გლეხობის დაახლოებით დაკმაყოფილება უმტკივნეულოთ, შეიძლება. და გურიის გლეხობა აშკარათ დაინახავს მაშინ შედეგებს ოქტომბრის დიდი რევოლიუციისა. აქეთ იყო და არის უმთავრესი ყურადღება მიქცეული ალმასკომის და ამ განყოფილების, რომელიც შედგება შემდეგი ქვეგანყოფილებებისაგან: აგრონომიული, ვეტერინარული, სატყეო და სამიჯნაო ამას გარდა თემებში არსებობს სამიწადმოქმედო კომიტეტები, რომლების მოვალეობას შეადგენს მემამულეებზე ზედმეტი მიწების ჩამორთმევა და უმიწაწყლო გლეხებზე გადაცემა, და მაზრაში—საადგილმამულო განსაკუთრებული კომისია, რომელიც არკვევს ყოველივე სადაო კითხვებს მიწის შესახებ.

განყოფილებამ ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავათ მიწის მზომელთა სიმცირისა, მოასწრო, თანახმად სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებულ ნორმისა, ზედმეტი მიწის ჩამორთმევა და უმიწა-წყლო გლეხობაზე გადაცემა შემდეგ თემებში: ჯუმათში, გურიანთაში, ლანჩხუთში, ჩიბათში და შემოქმედში.

დაურიგა უმიწა-წყლო გლეხობას ახალ გაკაფული და საყანეთ ქცეული მიწებიდგან ათას რვაასი ქცევა, დეკრეტის გამოსვლამდე კი ჩამოართვა მემამულეებს და გადასცა ღარიბ გლეხობას შვიდი ათასი ქცევა. კიდევ შეიძლება აქ გლეხობამ მიიღოს 12 ათასი დესიატინა მიწა, ხოლო ამის სასწრაფოთ გატარებას ხელს უშლის მიწის მზომელთა სიმცირე. აგრონომიული ქვე-განყოფილებამ მაზრა დაჰყო ოთხ რაიონად, დაარიგა რაიონებზე გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, რომელსაც ფართოდ სარგებლობს მოსახლეობა ტეხნიკების ხელმძღვანელობით.

წელს მან შესძლო ულარიბეს გლეხობაზე მაზრაში გაენაწილებია 18 ათასი ფუთი სათესლე სიმინდი და მით ხელი შეუწყო მაზრაში მეურნეობის აღორძინებას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გურიაში არას დროს ამდენი მიწები არ დათესილა, რამდენიც წელს. ვეტერინარული ქვე-განყოფილება თავისი მცირე შტატით ებრძვის საქონლის ყოველგვარ ჭირს. მან საკმაოდ გაამართლა დანიშნულება მით, რომ უკუ აქცია ლანჩხუთის რაიონში შემოჭრილი ციმბირის ჭირი და ამ ჟამად ასეთს მაზრაში ადგილი არ აქვს.

გურიის სატყეო ქვე-განყოფილებას მეტად დიდი მნიშვნელოვანი საქმე აბარია. მის ხელშია ბედი დაახლოებით 160 ათასი დესეტინა ტყისა, რომელიც ხელს უწყობს მის რაციონალურად მოხმარებას. ამ ძვირფას საუნჯეს მხოლოდ 19 დარაჯი იცავს. ეს მეტისმეტად მცირეა და განყოფილება უძლურია დაიცვას ტყე. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ამას თვით ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები მიაქცევენ სათანადო ყურადღებას, რომ ტყე ამოდენა სიმდიდრე და მშვენება გურიისა, არ განადგურდეს. მეტად მნიშვნელოვანია სამიწადმოქმედო განსაკუთრებული კომისიის მუშაობა. გურია წვრილ მესაკუთრეთა კუთხეა და ყოველად შეუძლებელია აქ მიწის რეფორმის ჩატარება ისე, რომ გაუგებრობას და საჩივრებს არ ექნესადგილი. ამ ხნის განმავლობაში კომისიამ გაარჩია 460 საქმე და ცოტა თუ ბევრად რეფორმა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. საერთოდ განყოფილებამ ამასთან ერთად აღმშენებლობითი მუშაობასაც მიაქცია ყურადღება: ნიგოითის რაიონში გააშრო ჭაობი არხის გაყვანით დაახლოებით ას ოც ქცევამდე და წელს დაურიგა უმიწა-წყლო გლეხობას. ლანჩხუთის რაიონში მან გააშრო 250 ქცევა ჭაობი, სადაც წელს ყანა იყო. უდიდესი საქმე განყოფილებისა აღმშენებლობაში ისაა რომ, მან გასჭრა რიონის კალაპოტი და 800 ქცევა მიწაც გაანთავისუფლა. გაიყვანა მელექედურის არხი და დღეს მუშაობა წარმოებს დვაბზუ ბახვი ვაკისჯვარის არხის გასაყვანად. ასეთი იყო დღემდე ამ განყოფილების მუშაობა გურიაში. ხოლო მომავალში ჩვენ ღრმათა გვრწამს, ეს განყოფილება განსაკუთრებით აგრონომიული, უფრო ფართოთ მოკიდებს ხელს სამეურნეო ფრონტს, იმ დიდ სამ მამულს, რომელიც დღეს მის განკარგულებაშია საექსპლოატაციოთ, ფართოდ გამოიყენებს ამ მიზნით, გაამრავლებს საცდელ მინდვრებს და სულ მალე ეს ნაბიჯები და გურიის მდიდარი ბუნება მისცემს მათ საშუალებას აღყვავოს მეურნეობა გურიაში. აგრეთვე მან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს გურიის აუწერელ სიმდიდრეს—ტყეს, რომელიც დღეს ნადგურდება. ჩაებას მის დაცვაში და სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობაში მთელი საბჭოთა ორგანოები და თვით მშრომელთა ფართო მასები. მხოლოდ ამ გზით შესძლებს ის გაამართლოს მასზე დაკისრებული დიდი საქმე.

პროლეტარი.

მადლობის გამოცხადება

მე განზრახული მქონდა დამეარსებია პატარა „წიგნის შკაფი“, შემეგროვებია ამისათვის წიგნები შეძლებისდაგვარად, შემექნა პატარა ფონდი ფულითაც, და ვინც იქნებოდა „კულტ-მუშა“ გადამეცა მისთვის გასარგებლად ისევე ამხანაგ მუშებში. ხოლო დაწყებისას წიგნების სიუხვის გადათვალიერება მიმენდო პროფ. კავშირიდან საგანგებოთ მოწვეული ამხანაგისათვის. აქვე მოგყავს სახელი და გვარი შემომწირველების, რომლებსაც ვუძღვნი ჩემს უღრმეს მადლობას.

მგოსნები, მწერლები და სხვა და სხვა საზოგადო მოღვაწენი:

1) შიო მღვიმელი 7 წ., 2) ხარიტონ ვარდოშვილი 4 წ., 3) გალაქტიონ ტაბიძე 5 წ., 4) გრიშაშვილი 10 წ., 5) იურინი 30 წ., 6) ქიჩ ლი 7 წ., 7) კონსტანტინე გამსახურდია 4 წ., 8) ერასტი ტოროტაძე 6 წ., 9) სანდრო იაშვილი 53 წ., 10) სილ. თოდრია 3 წ., 11) პ. ზუმბაძე 10 წ., 12) ინჟ. მიხეილ ქვარიანი 5 წ., 13) ექ. სევერიან ლოლობერიძე 5 წ., 14) გრიშა გველესიანი 3 წ., 15) პავლე კალატოზიშვილი 10 წ., 16) პ. ოქრობირიძე 2 წ., 17) საშა თეთრაშვილი 2 წ., 18) მსახ. აკაკი ხორავა 10 წ., 19) პრუსაკოვას ასული 5 წ., 20) ილიკო კიკნაძე 1 წ., 21) არტემ სახარულიძე 2 წ., 22) კირილე გაბუნია 2 წ., 23) მწერ. მარკოვმა 5 წ., 24) პანტელეიმონ ბოხუამ 13 წ., 25) დავით ბარაშოვმა 5 წ., 26) ვალოდია კალმახელიძემ 5 წ., 27) მუშა დემეროვმა 6 წ., 28) ას. ამწყ. ნუცუბიძემ 3 წ., 29) მარუსია ბარბუდაროვა 5 წ., 30) სონია ბერბერაშვილის 5 წ., 31) ნადია კაციტაძის ას. 2 წ., 32) ფატმა ხაინდრავას ას. 2 წ., 33) ისიდორე კუცია 5 წ., 34) მიშა კეკუა 5 წ., 35) ფულად: პავლე აბესაძემ 100 000 მან, 36) იოსებ ღვტაძემ 100.000 მან, 37) კოსტა ჭუბაბრიამ 50.000 მან., 38) კალისტრატე კუპუხიძემ 50.000 მან., 39) გაბრიელ ჩომახიძემ 50 000 მან., 40) ლავრენტი სხირტლაძემ 50.000 მან.

ყველა წიგნები დანიშნულებისამებრ გადაცემულია. მხოლოდ ფულით კი (400 ათ. მ.) შეძენილი იქნება ისევ ჩემ მიერ საბავშვო წიგნები შიო მღვიმელისა და გადაგზავნილი ქუთაისის საბავშვო სახლის სასარგებლოდ.

დათიკო ნ. დოლობერიძე.

მუშათა ცხოვრება

სამექანიკო ქარხანა.

ეს ქარხანა იმყოფება გოგოლის ქუჩაზე. ქარხანაში სწარმოებს ლითონის ჩამოსხმა. ქარხანა ტეხნიკურათ ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფება. ამ გარემოების გამო ჩვენი მდგომარეობა აუტანელია. შრომის ინსპექციამ ქარხნის ტეხნიკურათ გასაუმჯობესებლათ ადმინისტრაციას რამდენჯერმე წარუდგინა მოთხოვნილებანი, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. შრომის დაცვის კანონები მთლიანათ არ ტარდება ცხოვრებაში. ქარხნის კომიტეტი ამ მხრივ არასფერს არ აკეთებს. ჯამაგირს თავის დროზე ვერ ვღებულობთ. ჯამაგირის მიუღებლობა ძლიერ ცუდ პირობებში გვაყენებს. კოლექტიური ხელშეკრულების ძალით ჩვენთვის უნდა დაერიგებინათ სპეც.-ტანისამოსი. ზამთარი დადგა და ტანისამოსი ჯერაც არ დაურიგებიათ. არა გვაქვს აგრეთვე პირსახოცი. ჩვენ ქარხნის მუშები მატერიალურათ ძლიერ ცუდ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენი ჯამაგირი პურის ფასათაც არ გვყოფნის. ჩვენი ქარხნის მუშების ხელფასი შედარებით ძლიერ მცირეა სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშების ხელფასთან. ბინის მხრივაც ძლიერ ცუდ პირობებში ვიმყოფებით. იმ დროს როდესაც ჩვენ დიდუბეში და ავლაბარში გვიხდება ცხოვრება ამავე დროს ჩვენს ქარხანასთან არსებულ ბინებში სხვები ცხოვრობენ.

შინაური.

ძეხვის ქარხნები.

მადათოვის კუნძულზე არსებობს მთელი რიგი ძეხვის ქარხნებისა. არც ერთ ამ ქარხანაში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ქარხნებში გამეფებულია საშინელი სიბინძურე. კიდევ კარგი, რომ ზაფხული არ არის, თორემ ასეთ პირობებში ეპიდემიის ბუდეთ გახდებოდენ ეს ქარხნები. ბ-ნი ხაზეინები მხოლოდ თავიანთ ჯიბეზე ფიქრობენ, ქარხნის გასაუმჯობესებლათ ერთ გროშსაც კი არ იმეტებენ. საჭიროა შრომის ინსპექცია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს და ქარხნების ასეთ პირობებში არსებობას ბოლოს მოუღებდეს. რა გასაკვირველია, რომ ასეთ ქარხნებში მომუშავეთა პირობები ჯოჯოხეთური იყოს. ძეხვის ქარხნებში მომუშავეთა მიმართ ხაზეინები არ ემორჩილებიან არავითარ წესს. ნორმალური სამუშაო დღე მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, ამუშავებენ 10-12 საათს ხშირათ შევხვდებით მუშას ლამფის სინათლეზე მომუშავეს. ზოგიერთ მათგანს ქარხანაში მუშაობის გარდა უხდებათ პირადი სამსახური ხაზეინებისათვის. ხაზეინებს ექსპლოატაციას საზღვარი უნდა დაედვას.

გამვლელი.

ქალაქის პირველი საავათმყოფო

ეს საავათმყოფო ძლიერ დიდი დაწესებულება. საავათმყოფოში არსებობს სხვა და სხვა განყოფილებანი, სადაც დაბანდებულია დიდძალი მუშა ხელი. შენობის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა კარგია. საავათმყოფოს ყველა განყოფილებებში მუშაობას ეწევა 180 კაცი და 164 ქალი. მუშაობას ეწევიან აგრეთვე მცირე წლოვანნიც, რომელთა მიმართ დაცულია ნორმალური სამუშაო დრო—ექვსი საათი. არსებობს ადგილკომი, რომელიც, უნდა ითქვას სდგას თავის სიმაღლეზე, პირნათლად ასრულებს მუშების ნდობას. მუშების უკმაყოფილებას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, რომ ჯამაგირს თავის დროზე ვერ იღებენ, რაც კი ძლიერ ცუდ პირობებში აყენებს მუშებს. აგრეთვე ვერ არის საქმე კარგათ ტანისამოსების მხრივაც; რამდენი ხანია ტანისამოსებს პირდებიან, მაგრამ დღემდე არ მიუღიათ. მუშების დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან საუცხოვოა. ძველი ადმინისტრაცია უდიერად ექცეოდა მუშებს და მოსამსახურეებს, რის გამოც, მუშების მოთხოვნილების თანახმად გადაყენებულ იქნა.

მახლობელი.

საჭიროა ყურადღება

კარლ მარქსის სახელობის თამბაქოს ფაბრიკასთან არსებობს ელექტრონის სადგური. სადგურში მუშაობას ეწევა ერთი კაცი. მისი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. მას უხდება ისეთ პირობებში მუშაობა, რომ ზამთარში ასეთ პირობებში დატოვება ყოვლად შეუძლებელი იქნება. სადგურში არ არის დაცული წესრიგი. სადგურს არ აქვს მჭიდრო კედლები, რის გამოც ქარი თავისუფლათ ქრის. საერთოდ შენობაში ძლიერი სინოტივეა. მომუშავის ტანისამოსი ისეა გამტვერიანებული მაზუთში რომ გეგონება თავის დღეში არ გაურეცხიათ. სადგურის მუშა უკმაყოფილოა აგრეთვე იმ გარემოებით, რომ სპეც-ტანისამოსს თავის დროზე ვერ იღებს. სადგურის შენობას ყურადღება უნდა მიექცეს და ამ თავითვე იქნეს ზომები მიღებული რემონტის გასაკეთებლათ.

ქ. ბ.

ზეთის გამომხდელი ქარხანა

ამ ქარხნის მუშები ვეკუთვნით ქიმიკოსების კავშირს. უნდა ითქვას, რომ კავშირი მაინც და მაინც ვერ გვაქცევს შესაფერ ყურადღებას. ჩვენ მუშები გონებრივათ ძლიერ ჩამორჩენილნი ვართ. ქარხანასთან არ არსებობს არც ერთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება. წერაკითხვის უცოდინართა რიცხვი ჩვენ შორის საკმაოა. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა დავაშავეთ ისეთი, რომ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. ჩვენი ასეთი კულტურულათ ჩამორჩენილობის წინაამდეგ კავშირი არავითარ ზომებს არ ღებულობს. ჩვენს მდგომარეობას აგრეთვე ართულებს ის გარემოებაც, რომ ქარხნის ადმინისტრაცია თავის მოვალეობის სიმაღლეზე ვერ სდგას. ადმინისტრაცია ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას თავის დროზე ვერ ასრულებს. იმედია, ასეთ დაუდევრობას შემდეგში ადგილი არ ექნება და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ტანისამოსის მხრივ ყველანი უზრუნველყოფილნი ვართ. სპეც-ტანისამოსები უკვე მივიღეთ.

აქაური.

საგრეშუმო სადგური

სადგური იმყოფება მიწათ მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ითვლება 20, მაგრამ ეს მცირე რიცხვიც ვერაა კარგ მდგომარეობაში. შტატის შემოკლებამ ძლიერ ცუდ პირობებში ჩაგვაყენა. წინათ ამ სადგურში ყოველთვის ითვლებოდა 50 კაცი. სადგურში მომუშავენი მატერიალურათ დიდ გაჭირვებას განვიცდით. გაჭირვებას ერთი ორათ აორკეცებს ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობა. სადგურს აქვს რამოდენიმე განყოფილება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი უსახსრობის გამო არ მოქმედებენ. კულტურულ განმანათლებელ მუშაობას არა უშავს. ამ მხრივ კავშირი თავის ყურადღებას არ გვაკლებს. დროგამოშვებით მიწა-ტყის კავშირიდან მოდის წარმომადგენელი და აკეთებს მოხსენებებს საჭირბოროტო საკითხებზე. ზაფხულობით სადგურთან იხსნება მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კურსები ეს კურსები დიდ დახმარებას უწევს მეაბრეშუმეებს. ნაწილი მუშებისა ცხოვრობს სადგურთან არსებულ ბინებში, მაგრამ ბინები ძლიერ ცუდია. ზოგიერთ ოთახებში ჭერიდან წვიმა ჩამოდის.

აქაური.

წერილი ხონიდან

აქაური ნოქრები კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილნი ვართ. ჩვენ შორის არ არსებობს მჭიდრო კავშირი. ამ გარემოებით სარგებლობენ ლიპიანი ხაზეინები და მუხრუჭს გვიჭერენ. ზოგიერთი ნოქრები მარჯვენა ხელათ უხდებიან ხაზეინებს. საერთოდ მუშები ისე დატუქსული ყავთ ხაზეინებს, რომ არამც თუ წინააღმდეგობა, სიტყვის შებრუნებასაც ვერავინ ბედავს. ხაზეინები ვერ ურიგდებიან ნორმალური სამუშაო დღის კანონს. მათ თავგასულობას საზღვარი არა აქვს. არ იციან, საიდან მოგვიარონ და აგვიხვიონ თვალები. ბევრ ჩვენგანს 8—10 საათს ამუშავებენ. ხშირად შეხვდებით 9—10 საათზე, მიხურულ დარაბებში მბჟუტავ ლამფასთან თავჩაქინდრულ ნოქარს, რომელიც გამალებულ მუშაობას ეწევა. ჩვენს ასეთ მდგომარეობას ერთხელაც არის ბოლო უნდა მოეღებოდა. ბედმა გაგვიღიმა და ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ქუთაისის შრომის ინსპექციამ და თავისი რწმუნებული გამოგვიგზავნა. რწმუნებულის ჩამოსვლამ მოსვენება დაუფრთხო აქაურ ექსპლოატატორ ვაჭრუკანებს.

ნოქარი.

სამტრედია

რკინის გზის მოსამსახურეებს გვაქვს საკუთარი კოოპერატივი. ის ვერ სდგას თავის მდგომარეობის სიმაღლეზე. ხშირად იქ საქონელი უფრო ძვირია, ვიდრე კერძო ვაჭართან, მაგალითად, ქუდები იქ იყიდება 170—180 ათას მანეთად, სხვაგან 140—150 მ. ასევე ძვირათ იყიდება პაპიროზი, შაქარი და სხვ. სანოვაგე. ეს კოოპერატივი ან მთლად უნდა დაიხუროს და ან ნამდვილ კოოპერატივს დაემსგავსოს. ხშირად გვიგვიანებენ ჯამაგირს. საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგებაც.

აქაური.

თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა.

ქარხანა შესდგება მრავალ განყოფილებისაგან, რომლებშიდაც დაბანდებულია საკმაო მუშა ხელი. დღემდის მუშები ვეკუთვნოდით ფოსტა-ტელეგრაფის კავშირს, მაგრამ ვინაიდან ჩვენი პროფესიით უფრო უახლოვდებოდით მეტალთა კავშირს, ამიტომ ჩავეწერეთ მეტალთა კავშირში. ახალმა კავშირმა ჩვენს ოჯახში დიდი სიცოცხლე შეიტანა. წინათ ჩვენი ქარხნის მუშებში ძლიერ მოდუნებული იყო კულტურული მუშაობა. ამ მხრივ ძველი კავშირი არავითარ ზომებს არ ღებულობდა. ახალმა კავშირმა კულტურული მუშაობა გამოაცოცხლა. არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პირველი საფეხურის სკოლა. გვაქვს აგრეთვე საკმაოდ მდიდარი წიგნსაცავ-სამკითხველო. ამ მოკლე ხანში ქარხანასთან განზრახულია გაიხსნას მოზარდთათვის პროფესიონალური კურსები. საექიმო დახმარება მშვენიერათ არის მოწესრიგებული. ქარხანასთან არსებობს ამბულატორია. სამწუხაროდ, ბინის მხრივ ვერ არის საქმე კარგათ. ძველ კავშირს ამაზე სრულიად არ უზრუნვია, თუმცა მას ქონდა საშუალება ბინის კრიზისი მუშებისათვის თავიდან აეცილებინა. მის განკარგულებაში იმყოფებოდა ყოფილ მელიქაზარიანცის სახლი. სახლს თუმცა ნაციონალიზაცია აქვს მოხდენილი, მაგრამ კავშირის უმოქმედობის გამო ოთახების 50 პროც. კავშირის გარეშე მყოფი ხალხითაა დასახლებული. იმ დროს როდესაც ჩვენ მუშებს სარდაფებში გვიხდება ცხოვრება, მუშათა სახლებში განაგრძობენ ცხოვრებას ისეთი ელემენტები, რომლებიც არც ერთ კავშირს არ ეკუთვნიან. იმედია, ახალი კავშირი მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას და შესაფერ ზომებს მიიღებს.

მუშა.

ჩვენი ფოსტა

ამხ. კოლელიშვილს. დაუყოვნებლივ შემოიარეთ რედაქციაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 24.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

საგადასახადო სისტემის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის ამა 1922 წ. ოქტომბრის 9-ს დადგენილებისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1 სახელმწიფო სარეწავი და საშემოსავლო გადასახადის მომქმედი სისტემა, რომელიც დამყარებულია მიღებული მოგების პროგრესიულ დაბეგვრაზე, განგრძობილ იქნეს.

2. იმ მიზნით, რათა დამყარებულ იქნეს განსაზღვრული შეფარდება სარეწავი და საშემოსავლო გადასახადის კონტიგენტისა,—რესპუბლიკის მასშტაბით,—ადგილობრივი ვალიუტის კურსისა და გადამხდელთა შეძლებულობის შორის,—გადასინჯულ იქნეს წელიწადში ერთხელ აღნიშნულ გადასახადთა განაკვეთი და განსაზღვროს ხოლმე იგი იმ რაოდენობით, რომელიც შეეფერება გადასახადის გაწერისა და აკრეფის დროს.

3. სახელმწიფო სარეწავი გადასახადი გადაჰხდეს საერთო წესით კომერციულ ანგარიშზე გადასულ საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებს,—გარდა რუსეთში განთავისუფლებულ კომუნალურ საწარმოებისა,—რომელთაც არ შეაქვთ სახელმწიფო სალაროში თავიანთი შემოსავლის ზედმეტი ნაწილი და აგრეთვე დაევალოს ხსენებულ საწარმოებს მათ მიერ დადებული, გაცემული და მიღებული ყოველგვარი აქტისა, ქაღალდისა და დოკუმენტისათვის გადაიხადონ სახელმწიფო საღერბო ბაჟი.

4. განგრძობილ იქნეს არაპირდაპირი გადასახადის მომქმედი სისტემა დამყარებული გადასახადთა გარდახდევინების პრინციპზე, რომლითაც კანონისამებრ განსაზღვრულია საგნის საშუალო გასასყიდ ფასთან გადასახადის პროცენტული შეფარდება.

5. დაწესებული შეფარდება გადასახადისა საგნის საშუალო გასასყიდ ფასთან (პროცენტებში) დარჩეს ძალაში

6 წესი სააქციზო დაბეგვრის განაკვეთების პერიოდულად გადასინჯვისა, ბეგარა დასადებ საგანთა საშუალო გასასყიდ ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით,—დარჩეს ძალაში.

7. სააქციზო დაბეგვრის საგანთა სია გადიდდეს შეძლებისამებრ და შეტანილ იქნეს მასში მასიური ხმარების, მაგრამ არა პირველი საჭიროების, საგნები (ხელოვნური მინერალური წყალი, საკონდიტრო ნაწარმოები და სხვ.)

8. გადაეცეს ადგილობრივ ალმასრულებელ კომიტეტებს სასურსათო გადასახადის 20 პროც.

9. გადაეცეს ადგილობრივ ალმასრულებელ კომიტეტებს 20 პროც. ტყისა, სათიბებისა და საძოვარი ადგილების შემოსავლიდან.

10. სარეწავი და საშემოსავლო გადასახადიდან ადგილობრივი ალმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ 1923 წ. იანვრის 1-დან გადარიცხული იქნეს ხოლმე 30 პროც.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1822 წ. ნოემბრის „27“
ტფილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ც. კ.-ის ქალთა განყოფილებასთან არსდება წრე, რომელსაც მიზნათ აქვს ქალთა მასის შორის პარტიული კითხვების გაშუქება. ამ წრეში მეცადინეობა შეუძლია ყველა პარტიის წევრებს, კანდიდატებს და ახალ კომ. წევრებს.

ჩაწერა სწარმოებს ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების მდ ამხ. ჯალალანიასთან დილას 10—3 საათამდე.

— ა. წ. 23 ნოემბერს საქართველოს ალმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა მშრომელ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებელი კომისია, რომელიც მოთავსებულია ც. ა. კ. შენობაში, მეორე სართული ოთახი № 12.

განცხადება მიიღება ყოველ დღე ზემოაღნიშნულ კომისიის მდივანთან დილის 10—3 საათამდე.

კომისიის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე**

მდივანი: **კობახიძე**.

— სამშაბათს, 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში პროფკავშირების გამგეობათა წევრების მონაწილეობით შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღიური წესრიგი:

1. საქ. პროფკავშირების საბჭოს მუშაობის შესახებ,
2. შრომის ბირჟის შესახებ,
3. კურორტების შესახებ,
4. მიმდინარე საკითხები.

განსახილველ საკითხების მნიშვნელობის გამო საქ. პროფკავშირთა საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა გამგეობების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავშირთა პრეზიდიუმის მდივანი **გუგუშვილი**.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელნიც მუშაობენ ოდესმე, ან მუშაობენ ახლა ფინანსიურ დარგში და იცნობენ ამ დარგს სპეციალური განათლებით და სხვ. გატარდენ რეგისტრაციაში თბილისის კომიტეტის საღრიცხვო სტატისტიკურ ქვეგანყოფილებაში არა უგვიანეს ა—წ 10 დეკემბრისა.

საღრიცხვო სტატისტ. ქვეგანყოფილების გამგე.

პროფესიონალური

— საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს და აგრეთვე მუშა მოსამსახურეებს რომ ამა წლის პირველ დეკემბრიდან საქ. პროფ. კავშირთა საბჭოში მეცადინეობა იწარმოებს დილის 9 საათ. დღის 3 საათამდე.

— ფართე მასების მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით იურიდიულ ბიუროში და საზინაო სექციაში მეცადინეობა იწარმოებს დილით 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქ. პრ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი: **გუგუშვილი**.

განცხადებები

თავზარდაცემულნი უბედური მშობლები სერგო და ანეტა, ძმები: ვალერიან და ბუხული გალ-გრები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს უდროვოთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასის

ანტუშას

დაკრძალვა დეკემბრის 5 შემოქმედის საგვარეულო სასაფლაოზე.

გულდამწვარნი და ნინა და მეუღლე მისი ვალოდია ნეკაშვილები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს საყვარელი და დაუვიწყარი დის და ცოლის დის

სონია თავაძის

უდროვოთ დაკარგვას. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან სამშაბათს 5 დეკემბერს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები ოლინკა და არსენი, ძმები: საშა, ვალოდია და გოგია და თამარა აუწყებენ ნათესავ მეგობრებს მათი საყვარელი და დაუვიწყარი

სონია თავაძის

უდროვოდ დაკარგვას. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან სამშაბათს 5 დეკემბერს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ბიძა ანტონი მეუღლით თამარა, ბიცოლა პოლინა დავითის ასული შვილებით მამინაიშვილები აუწყებენ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს საყვარელი და დაუვიწყარი

სონია თავაძის

უდროვოთ დაკარგვას. გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან სამშაბათს 5 დეკემბერს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1

„არკოს“-ის

წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში

ამით აცნობებს სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებებს და ტრესტებს, და აგრეთვე აბრეშუმის მწარმოებლებს, რომ მან მიიღო საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის აბრეშუმის თესლი: ფრანგული გრენაჟის (თეთრი) და წმინდა ფრანგული ჯიშის (ყვითელი).

„არკოს“ ის კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. 3 № 38 დღის 9—3 საათამდე. (615—3—1)

განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის განათ. კომისარიატისა

სახელმწიფო გამომცემლობა ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა სასწავლებლების საყურადღებოდ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიებში (რუსთაველის პროსპექტი № № 9–11 და პლეხანოვის 3) მიღებულია გასასყიდათ შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. კიკვაძე—ჩვენი სკოლა მე 3 წ
2. ჭუმბურიძე—თაიგული ბუნების-კარის მაგიერ.
3. შაფაქიძე—თვალსაჩინო გეომეტრია.
4. საზონოვი—ქიმიის სახელმძღვანელო ტეხნიკუმებისათვის.
5 რაზმაძე—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწ 1.
6. ოცხელი—ელემენტარული გეომეტრია.
7. ცაგარეიშვილის—გეოგრაფია 1 ნაწ.
8 ოცხელი—ელემენტარული ალგებრა 1 ნაწ.
9. ცაგარეიშვილის—გეოგრაფია 2 ნაწ.
10. რობაქიძის სამშობლოს აღწერა
11 ჯანელიძე—ფიზიკა 1 ნაწ.
12. ქვარიანი საქართველოს ისტორია.
13. ხმალაძის—არითმეტიკული კრებული.
14. რუსკოე სლოვო 2 ნაწ
15. გუთანი.
16. გორგაძე—საქართველოს ძველი ისტორია.
17. ოცხელი და ნიჟარაძე—ფიზიკა 2 ნაწ.
18. კირიონი და ყიფშიძე—სიტყვიერების თეორია.
19. კელენჯერიძე—სიტყვიერების თეორია.
20. „ ქართული ლიტერ. ისტორია.
21. დავ. დონდუა—ზოოლოგია.
22. გორგაძე—ახალი მწერლები 1 ნაწ.
23. „ „ 2 ნაწ.
24. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანული სახელმძღ.
25. ზაალიშვილი—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგ.
26. ჩხენკელი—ბუნება 2 ნაწ.
27. ხმალაძე—არითმეტიკული კრებული 3 ნაწ.
28. „ „ „ 1 ნაწ.
29. ჩიმაკაძე და შუბლაძე—არითმეტიკ კრებ. 1 ნაწ.
30. „ „ 2 ნაწ.
31. „ „ 2 კლასისათვის
32 ბერიძე—ლოგარიფმების ცხრილი.
33. ნიკოლაძე—საქართველოს ისტორია.
34 ჭავჭავაძე—ქართული ლიტერატურა.
35. ხუნდაძე—ქართული ლიტერატურა.
36. „ გრამატიკა.
37. თორაძე—ფრანგული ენის სახელმძღვანელო მე 3 და მე-4 კლასისათვის.
38. ჯორჯიკია—ფრანგული ენის სახელმძღვანელო მე-5 კლასისათვის.
39 ნალი—გერმანული სახელმძღვანელო.
40 ჯორჯიკია—კარლოს მე-2 ისტორია.
41 წერეთელი—ტერმინოლოგია.
42 შუბლაძე სახმო წესით კითხვის სწავლა.
43. თორაძე—ბესიკის ცხოვრება.
44. ბარათაშვილი—საქართველოს ისტორია.
45 „ ქართული ნოტები.
46 ხახანაშვილი—ქართული სიტყვიერების ისტორია
47. უზნაძე—ძველი ისტორია 2 ნაწ.
48 ჩინჩალაძე—მოკლე ლათინური გრამატიკა.
49 ავალიშვილი—არითმეტიკული სახელმძღვან. 1 ნაწ.
50. აკაკი იგავ-არაკები
51. ნათაძე—ინგლისის ისტორია.
52 ბარნოვი—თხზულებანი ტომ 1.
53 ლალიონი—მოთხრობები.
54 წერეთელი—კიკოლიკა ჩიკოლიკა.
55 რუსთაველი—ვეფხვის ტყაოსანი.
56 არაგვისპირელი—თხზულებები.
57. ლოსაბერიძე—საექიმო მეცნიერება
58. წერეთელი—რუხი მგელი.
59. დონდუა—ჰაერი და სითბო.
60. შარაშიძე—მეხის ამბავი.
61. შამშინოვი—ხატვა-ხაზვის ელემენტარული კურს.
62. დედა-ენა 2 ნაწ.
63. წერეთელი—მსოფლიო ისტორია 1 ნაწ.
64. „ „ „ 2 ნაწ.
65. „ „ „ 3 ნაწ.
66. ავალიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო მე-2 ს.
67. ავალიანი—მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო მე 3.
68. შაპოშნიკოვი და ვიალცოვი—ალგებრული და ამოცანათა კრებული.
69. დათეშიძის—არითმეტიკული ამოცანათა კრებული 1 ნაწ.
70. „ „ 2 ნაწ.
71. კოსონგოვი—ფიზიკა.
72 ზედგენიძე—ახალი ქართული ანბანი.
73. დავ. დონდუა ჰაერი, წყალი და დედამიწა
74. „ ბოტანიკა
75 ჯავახიშვილი—საქართველოს მოკლე ისტორია.
76. ხუციშვილისა არითმეტიკული ამოცანათა კრებული
77 ნუცუბიძე—ფილოსოფიის შესავალი 1 ნაწ.
78. ნუცუბიძე ლოღიკა
79 ნათიშვილი—ადამიანის ნორმალური ანატომია.
80 კაკაბაძე—საქართველოს შემოკლებული ისტორია.
81. გველესიანი და უზნაძის—ახალი ისტორია.
82 ვარლამ დონდუა—საშუალო საუკუნეთა ისტორია.
83 წერეთელი—ალგებრული ამოცანათა კრებული 2 ნაწ.
84 ოცხელი—ქართული ქრისტომატია.
85 ანდრია რაზმაძის—ინტეგრალური აღრიცხვის კურსი ნაწილი 1 განუსაზღვრელი ინტეგრალები

მაღაზიაში მოიპოვება მრავალი სახელმძღვანელოები რუსულ სკოლებისათვის. სკოლები და განათლების განყოფილებები, რომელნიც წიგნებს შეიძენენ ბითუმათ ეძლევა 5—30 პროც. წიგნები ფას დაკლებით. (კრ. 654 5—5)

ხელმწ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 5 დეკემბერს

მარგალიტის მაძიებელნი

ოთხშაბათს, 6 დეკემბერს

ა. ი. სუმბათაშვილის ბენეფისად

აბესალომ და ეთერი

დასაწყისი ზუსტ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 679—1—1)

რპ. მზ. ტფილისის კავშირის

სატრანსპ. მომხმარ. საზოგადოების

უჩტპოს

მაღაზიებში მოითხოვეთ

საუკეთესო ღირსების

ბოსტნეულობის და ხილეულობის

კონსერვები

კაპიდლო

ტომატი

საკუთარ ქარხანაში დამზადებული იყიდება წვრილად და ბითუმათ.

ბითუმათ იყიდება მაღაზიაში № 1 ვაგზლის ქუჩა № 3.

(606—3—1)

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 6 დეკემბერს დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

აბანო „ფანტაზი“-ას

იჯარით გაცემის შესახებ.

პირობის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახ., საჯარო მაგიდის გამგესთან. (კრ. 683—2—1)

ამხანაგობა

„ხორც-პროდუქტი“

იყიდება

„სოლონინა“

(ძროხის ხორცის)

საკუთარი წარმოების

გაყიდვა სწარმოებს ამხანაგობის ყველა დუქნებში

ამხანაგობის კანტორა: სასახლის ქ. 6 (მე 3 სართული) ტელ. 9—84.

გამგეობა.

(კრ. 667—3—2)

სახლი

ყოველგვარი მოწყობილობით, განმარტოებული ბაღით და თავისუფალი ბინით ქალაქის ცენტრში.

ვისაც სურს ხელსაყრელ პირობებში იყიდოს ან გაყიდოს იგი—უნდა მიმართოს დავიდოვის ქ № 3, ბინა 2, დილის 11—2 და საღამოს 5—7 საათამდე, რუსთაველის პროსპექტის მახლობლად. (498—1—1)

საკონსულტაციო

სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:

მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის გ. დ. ხანცინის

ბავშვების მიღება ყოველ-დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე და ძუძუმწოვარი ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტერნის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—20)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის მიერ

განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—15)

დაკარგე უნივერსიტეტის და სამსახურის პირადობის მოწმობები სტ. ზორის ანთელავას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (609—1—1)

დაკარგე პირადობის მოწმობა № 159 იოსებ კირვალიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (611—1—1)

დაკარგე რეგისტრაციის ბარათი მოცემული 1 ლი კომისარიატის მიერ სტეფანე მურადის ძე პაილარიანცის სახელზე, გთხოვთ ჩასთვალოდ გაუქმებულად. (610—1—1)

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო აცხადებს,

რომ ა/წ., 15 დეკემბერს, **შუადღის 12 საათზე**, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა, № 1), დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა 1923 წ. 1 იანვრიდან

პირველი კლასის ბუფეტების იჯარით გასაცემად

შემდეგ სადგურებზე: სანაინში, ალექსანდროპოლში, ერევანში, ნახიჩევანში, შახტახტაში, ეჩმიამინში (საჭიროა შეკეთება).

მეორე კლასის ბუფეტების გასაცემად

შემდეგ სადგურებზე: კარაკლისში, შაგალში, ამამლში, ალექსანდროპოლში, ულუხანლუში, ალაგეზში, ნახიჩევანში, კამარლიუში.

სავაჭრო ფარდულების: სადგ. ახტალაში, სანაინში, კალაგერანში № 1 და 2, კარაკლისში № 2 შაგალში, ამამლში, ალექსანდროპოლში, აგინში, ეჩმიამინში, კარაბურუნში, სარდარ-აბადში, ერევანში, ნახიჩევანში, შახტახტში.

საპირფარეშოს—სად. სანაინში.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა კეთილ ინებონ და თავიანთი განცხადებანი დახურული კონვერტებით ჩააგდონ საბჭოს დარბაზის კარებთან მოწყობილ სპეციალურ ყუთში. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „ბუფეტების, ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემ საჯარო ვაჭრობისათვის“. ხოლო განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, სახელდობრ რომელ ამ წარმოების აღებას ფიქრობს მსურველი და რა საიჯარო ქირას იძლევა წლიურად ოქროს მანეთებით.

განცხადებასთან უნდა იყოს დართული:

1) ქვითარი განზრახულ ქირის არა ნაკლებ 10 პროც. გირაოს შეტანის შესახებ.

2) წარმოდგენილ განცხადებებზე უნდა იქნას დაკრული სალერბო მარკა. იჯარით გაცემის დროს გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებით, რომელსაც მოითხოვს რკინის გზის მეურნეობის ინტერესები.

3. ის პირნი, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული ბუფეტები ფარდულები, საპირფარეშოები და რომელთაც სრულიად არ წარმოუდგენიათ საიჯარო გადასახადი ა—წ. 1 დეკემბრამდე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება არ ექნებათ.

ყოველგვარი ცნობები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათ., გარდა კვირა უქმეებისა, რკინის გზათა სამმართველოში, ტფილისში (ვაგზლის ქ. № 1, ოთახი № 64).

საკომერციო ნაწილის უფროსი—თუხარელი.

კრ. 613 (4—4)

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების რკინის გზის სამმართველო

აცხადებს,

რომ 1922 წ. 5 დეკემბერს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში (ვაგზლის ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

1923 წ. 1 იანვრიდან ქვემოდ ჩამოთვლილ წარმოებების იჯარით გასაცემად: **1 ვაგონი რესტორანისა,**

8 ვაგონი ბუფეტის, პირველი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებში: ბათომში, ჩაქვში, სამტრედიაში, რიონში, ქუთაისში, შორაპანში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში, ბორჯომ-პარკში, მცხეთაში, ტფილისში, ნავთლუღში, გურჯაანში, სანდარში;

მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებში: ბათომში, ჩაქვში, ქობულეთში, ნოტანებში, სუფსაში, ლანჩხუთში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალ-სენაკში, რიონში, ხრესილში, ტყიბულში, საჩხერეში, მოლითში, ხაშურში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბოსლევში, ხეთაში, მცხეთაში, აქჰალაში, ტფილისში, ნავთლუღში, იორაში, საგარეჯოში, მილაანში, გურჯაანში, ვაზიანში, წყნორის-წყალში, თელავში, აგტაგლაში, სანდარში, შულავერში, სადახლოში;

სავაჭრო ფარდულების შემდეგ სადგურებში: ჩაქვში, ჯუმათში, ლანჩხუთში, სამტრედიაში № 1, 2, 3, ახალ-სენაკში, ფოთში, მუხიანში, რიონში № 1 და 2, ქუთაისში, ხრესილში, სვირში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ძირულაში, მარელისში, მოლითში, წიფაში, ხაშურში, სუმბათოვოში, ბორჯომში, ხარაგოულში, ქარელში, კასპში, ქსანკაში, აქჰალაში, ტფილისში, ნავთლუღში, საგარეჯოში, გურჯაანში, მუკუზანში, ყარაიაზში, სანდარში, შულავერში, სიდახლოში, ბადიაურში, საჯივახოში, ციხის ძირში;

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებში: ბათომში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალ-სენაკში, ფოთში, რიონში, ქუთაისში, ზესტაფონში, შორაპანში, ჭიათურაში, საჩხერეში, ხაშურში, ბორჯომში, ტფილისში, გურჯაანში, სადახლოში და ბარგის შესანახავი კამერების სადგურ ნავთლუღში.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, განცხადებები დახურულ კონვერტებში უნდა ჩასდონ საბჭოს დარბაზის კარებთან სპეციალურად გაკეთებულ ყუთში.

კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, ფარდულების და საპირფარეშოების იჯარით ასაღებად“. ხოლო განცხადებებში უნდა აღინიშნოს, თუ რომელი წარმოების აღება სურთ მთხოვნელს და რა ფასი აქვს განზრახული გაიღოს წლიურ საიჯარო გადასახადისათვის ოქროთი.

განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: 1) კვიტანცია გირაოს შეტანის შესახებ, რაც უნდა შეადგენდეს განზრახული ფასის არა ნაკლებს 10 პროცენტისა, 2) შეტანილ განცხადებაზე უნდა იყოს სალერბო მარკა. იჯარით გაცემის დროს რკინის გზის გამგეობა იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ კიდევ სხვა მოსაზრებებით, რომელიც შეეხება რკინის გზის მეურნეობის ინტერესებს, 3) **ის პირნი, რომლებიც ეხლა იღებენ იჯარით ბუფეტებს, ფარდულებს, საპირფარეშოებს და არ შეიტანენ სავსებით საიჯარო გადასახადს მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე არ იქნებიან დაშვებული ვაჭრობაზე.**

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 9 დან 11 საათამდე დილით, უქმე დღეების გარდა; რკინის გზათა სამმართველოში, ტფილისში (ვაგზლის ქ. № 1 ოთახი № 64).

(კრ. 614—4—4) კომერციული ნაწილის უფროსი: თუხარელი.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.